



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

საერთაშორისო სამეცნიერო
რეცენზირებადი ჟურნალი
International Scientific
Refereed Journal

10 (1)

ჯანდაცვის პოლიტიკა,
ეკონომიკა და სოციოლოგია
Health Policy, Economics and Sociology



10 (1) 2026

PRINT ISSN 2960-9992

ONLINE ISSN 2960-9984

კავკასიის უნივერსიტეტი
Caucasus University

რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია

Peer-reviewed International Scientific Journal

Health Policy, Economics and Sociology

2026 № 10 (1)



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

PRINT ISSN 2449-2469
ONLINE ISSN 2346-7983

თბილისი 2026 Tbilisi

კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

The Refereed and Peer-Reviewed International Scientific-Practical Journal of the Health Policy Institute of Caucasus University

მთავარი რედაქტორი:

თენგიზ ვერულავა - მედიცინის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი

Editor-in-Chief:

Tengiz Verulava - Doctor of Medical Science, Professor, Caucasus University

PRINT ISSN 2449-2469

ONLINE ISSN 2346-7983

ჟურნალის ელექტრონული გამოცემა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

The electronic version of the journal is available on the website:

<https://heconomic.cu.edu.ge>

doi 10.52340/healthecosoc

ჟურნალში ნაშრომები ქვეყნდება Creative Commons Attribution 4.0 ლიცენზიით. (CC BY 4.0).

The articles will be published under Creative Commons license (CC BY 4.0).

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

The authors of the articles published in this journal are each solely responsible for the accuracy of their respective articles. Their respective views do not necessarily coincide with the views of the Editorial Board.



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ.თბილისი 0102, საქართველო
Paata Saakadze St. 1, Tbilisi 0102, Georgia
tverulava@cu.edu.ge

ინდექსირებულია INDEXED



მთავარი რედაქტორი:

თენგიზ ვერულავა - მედიცინის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი

სამეცნიერო სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:

კახა შენგელია - ისტორიის დოქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი

აღმასრულებელი რედაქტორი:

ბორის ლეჟავა - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში

სარედაქციო კოლეგია:

ზვიად კირტავა (კავკასიის უნივერსიტეტი), **ოთარ გერზმავა** (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი), **ნატა ყაზახაშვილი** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ლელა სტურუა** (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი), **რევაზ ჯორბენაძე** (ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი), **რიმა ბერიაშვილი** (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), **იაგო კაჭკაჭიშვილი** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ანზორ გოგიბერიძე** (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), **ელენე ფაღავა** (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), **დევი ტაბიძე** (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), **ელენე ჯღარკავა** (კავკასიის უნივერსიტეტი), **მარიამ ოქრუაშვილი** (კავკასიის უნივერსიტეტი), **დავით ნატროშვილი** (კავკასიის უნივერსიტეტი), **გიორგი მახარაშვილი** (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი), **კახაბერ ჯაყელი** (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი), **თამარ ლობჯანიძე** (საქართველოს უნივერსიტეტი), **ოთარ ვასაძე** (საქართველოს უნივერსიტეტი), **ოთარ ჩოკოშვილი** (ინფექციური პათოლოგიის, შიდა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი), **გურანდა ჭელიძე** (კავკასიის უნივერსიტეტი), **ილია ნადარეიშვილი** (დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი), **ეკა ჭყონია** (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), **ნინო ჩიხლაძე** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ეკატერინე სანიკიძე** (დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი), **ზურაბ სიხარულიძე** (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), **ლალი კოკია** (თამარ მეფის უნივერსიტეტი), **გულნარა შელია** (ა.კ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ირმა კირთაძე** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), **იმედა რუბაშვილი** (კავკასიის უნივერსიტეტი)

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები:

ლეილა კარიმი (RMIT უნივერსიტეტი, ავსტრალია), **მეთიუ ოვეტი** (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, დიდი ბრიტანეთი), **კამელია ქრისტინა დაიაკონუ** (ბალკანეთის მედიცინის კავშირი, ბუქარესტი, რუმინეთი), **ტომისლავ მესტროვიჩი** (ვაშინგტონის უნივერსიტეტი, აშშ), **გორან ბანდოვი** (ზაგრების უნივერსიტეტი, ხორვატია), **ვივიანა მანგიატერა** (ბოკონის უნივერსიტეტი, მილანი, იტალია), **თეა ი. კოლინზი** (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია), **რევათი ფალკეი** (ნოტინგემის უნივერსიტეტი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი), **ლეილა აფშარი** (ლა ტრობეს უნივერსიტეტი, ავსტრალია), **თისა ვიჯარეთნი** (მელბურნის უნივერსიტეტი, ავსტრალია), **ჯირი რადა** (ლა ტრობეს უნივერსიტეტი, ავსტრალია), **სტივ პოლგერი** (ლა ტრობეს უნივერსიტეტი, ავსტრალია), **გიორგი შაქარიშვილი** (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, შვეიცარია), **არანკა იგნასიაკ-შულცი** (ნიკოლაუს კოპერნიკის უნივერსიტეტი, პოლონეთი)

რედაქტორი - ეკატერინე ელიავა

Editor-in-Chief:

Tengiz Verulava - Doctor of Medical Science, Professor, Caucasus University

Head of Scientific Editorial Board:

Kakha Shengelia - Doctor of History, Doctor of Economics, President of the Caucasus University

Executive Editor:

Boris Lezhava - Doctor of Business Administration, Vice-President of Caucasus University in the field of research and strategic development

Scientific Editorial Board

Zviad Kirtava (Caucasus University), **Sofia Kobakhidze** (Caucasus University), **Otar Gerzmava** (Grigol Robakidze University), **Nata Kazakhashvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Revaz Jorbenadze** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Elene Jgharkawa** (Caucasus University), **Mariam Okruashvili** (Caucasus University), **Giorgi Makharashvili** (Caucasus University), **Guranda Chelidze** (Caucasus University), **David Natroshvili** (Caucasus University), **Lela Sturua** (National Center for Disease Control and Public Health), **Anzor Gogiberidze** (Tbilisi State Medical University), **Helen Phagava** (Tbilisi State Medical University), **Devi Tabidze** (Tbilisi State Medical University), **Rima Beriashvili** (Tbilisi State Medical University), **Iago Kachkachishvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Otar Chokoshvili** (Center for Infectious Pathology, AIDS and Clinical Immunology), **Kakhaber Jakeli** (Black sea international university), **Tamar Lobzhanidze** (University of Georgia), **Otar Vasadze** (University of Georgia), **Ilia Nadareishvili** (David Tvildiani Medical University), **Eka Chkhonia** (Tbilisi State Medical University), **Nino Chikhladze** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Ekaterine Sanikidze** (D. Tvildian Medical University), **Zurab Sikharulidze** (Tbilisi State Medical University), **Gulnara Shelia** (Ak. Tsereteli State University), **Lali Kokaia** (King Tamar University), **Irma Kirtadze** (Ilia State University), **Imeda Rubashvili** (Caucasus University)

Foreign part of Editorial board members:

Leila Karimi (RMIT University, Australia), **Camelia Cristina Diaconu** (Balkan Medical Union, Bucharest, Romania), **Matthew Jowett** (World Health Organization, Great Britain), **George Shakarishvili** (World Health Organization, Switzerland), **Tomislav Mestrovic** (University of Washington, USA), **Goran Bandov** (University of Zagreb, Croatia), **Viviana Mangiaterra** (University of Bocconi, Milan, Italy), **Téa E. Collins** (World Health Organization, Geneva, Switzerland), **Revati Phalkey** (University of Nottingham, London, UK), **Leila Afshari** (La Trobe University, Australia), **Tissa Wijeratne** (University of Melbourne, Australia), **Jiri Rada** (La Trobe University, Australia), **Steve Polgar** (La Trobe University, Australia), **Aranka Ignasiak-Szulc** (Nicolaus Copernicus University, Torun, Poland)

Editor - Ekaterine Eliava

სარჩევი CONTENTS

ორიგინალური კვლევა Original Research

ელგუჯა ლაჭყევიანი, მაია ღამბარაშვილი, დიმიტრი კოჩაძე, რობერტ მახარაშვილი
თანდაყოლილი დერმული მელანოციტოზის (მონღოლოიდური ლაქა) ატიპიური
გამოვლინება და მისი სასამართლო-სამედიცინო მნიშვნელობა

Elguja Latchkepiani, Maia Gambarashvili, Dimitri Kochadze, Robert Makharashvili

Atypical Presentation of Congenital Dermal Melanocytosis (Mongolian Spot) and Its Medico-Legal Significance

დავით ჯმუხაძე

თანდაყოლილი სახის ნაპრალების მქონე პაციენტთა ფუნქციურ-ესთეტიკური
რეაბილიტაციის ოპტიმიზაცია: მიკრობიოლოგიური და იმუნო-ანტიოქსიდანტური
პარამეტრების როლი ნაწიბურების პროგნოზირებაში

David Jmukhadze

Optimization of functional-aesthetic rehabilitation of patients with congenital facial clefts: the role of microbiological and immuno-antioxidant parameters in predicting scars

ალეკო სოფრომაძე

საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვა საქართველოში

Aleko Sopromadze

Management of Medical Waste Generated in Household Settings in Georgia

რადუ-მიჰაი დუმიტრესკუ, ადრიან-ნიკოლაე დენი

მედიცინაში მდგრადობის დისკურსის რუკა: ბიბლიომეტრიული და
ინტერდისციპლინარული ანალიზი (2015–2025)

Radu-Mihai Dumitrescu , Adrian-Nicolae Dan

Mapping the Discourse of Sustainability in Medicine: A Bibliometric and Interdisciplinary Analysis (2015–2025)

მარი არაბიძე

სამედიცინო დოკუმენტაციის ხარისხის უზრუნველყოფის საორგანიზაციო მექანიზმები და
თანამედროვე ტენდენციები ქართულ კლინიკებში

Mari Arabidze

Organizational mechanisms and modern trends in ensuring the quality of medical documentation in Georgian clinics

გიორგი მამნიაშვილი, ქეთევან ბოგველი

ტანსაცმლის ონლაინ და ოფლაინ შესყიდვების შედარებითი კვლევა

Giorgi Mamniashvili , Ketevan Bogveli

Clicks vs. Fittings: A Comparative Study of Online and Offline Clothing Purchases

მიმოხილვა

Review

თენგიზ ვერულავა

ჯანდაცვის კომერციალიზაცია და მისი შედეგები: აშშ-ის გამოცდილება

Tengiz Verulava

Commercialization of Healthcare and Its Consequences: The US Experience

ქეთევან შავლიაშვილი

ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავების გავლენა დნმ-ის მეთილირებაზე შუახნის ასაკის ქალებში: ანთების საწინააღმდეგო ეფექტის ეპიგენეტიკური მექანიზმები

Ketevan Shavliashvili

The Impact of Omega-3 Fatty Acids on DNA Methylation in Midlife Woman: Epigenetic Mechanisms of Anti-Inflammatory Effects

ეკატერინე ელიავა

რუტინული 36-კვირიანი ულტრაბგერითი კვლევის კლინიკური მნიშვნელობა ნაყოფის ანომალიების გვიან გამოვლენაში

Ekaterine Eliava

Clinical significance of routine 36-week ultrasound in detecting late fetal anomalies

ნინო ძირკველიშვილი, თამთა უტნელიშვილი

სურსათის ფასები და კვებითი ხარისხი საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ფაქტორები

Nino Dzirkevlishvili, Tamta Utnelishvili

Food Prices and Nutritional Quality in Georgia: Socio-Economic and Technological Factors

ხათუნა ჩიკვილაძე, ნუგზარ ბუაჩიძე, გურანდა ჭელიძე

ცირკულარული ეკონომიკა და ნარჩენების მართვა საქართველოში: პოლიტიკის გამოწვევები და რეფორმების გზები

Khatuna Chikviladze, Nugzar Buachidze, Guranda Tchelidze

Circular Economy and Waste Management in Georgia: Policy Challenges and Pathways for Reform

დაჩი ვერულავა

3D ბეჭდვის ტექნოლოგიების გამოყენება ორთოპედიულ ტრავმატოლოგიაში: მიმდინარე მდგომარეობა და მომავლის პერსპექტივები

Dachi Verulava

Applications of 3D Printing Technology in Orthopedic Trauma: Current Status and Future Perspectives

ტანიშ შარმა

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების მოქმედების მექანიზმები ბაზალურ მეტაბოლიზმსა და ფიზიკური დატვირთვის ტოლერანტობაზე

Tanish Sharma

Mechanisms of Thyroid Hormone Action on Basal Metabolic Rate and Exercise Tolerance: A Comprehensive Review

სოფიკო პაპაშვილი

ექიმის ასისტენტით სუიციდი ჯანდაცვის სოციოლოგიაში: სოციო-ეთიკური, სამართლებრივი და რელიგიური ასპექტების კომპლექსური ანალიზი

Sofiko Papashvili

Physician-Assisted Suicide in Medical Sociology: A Complex Analysis of Socio-Ethical, Legal, and Religious Perspectives

კლინიკური შემთხვევის აღწერა

Case Report

თამარ გველუკაშვილი, ეკა კიკილაშვილი, სამსონ ქაჯაია, რევაზ ჯორბენაძე

გულის გაჩერება მისი მოქმედების წარმატებული აღდგენით: პოსტრეანიმაციული მდგომარეობის მართვა


Tamar Gvelukashvili, Eka Kikilashvili, Samson Kajaia, Revaz Jorbenadze

Cardiac Arrest with Successful Resuscitation and Post-Resuscitation Management



თანდაყოლილი დერმული მელანოციტოზის (მონღოლოიდური ლაქა) ატიპიური გამოვლინება და მისი სასამართლო-სამედიცინო მნიშვნელობა

Atypical Presentation of Congenital Dermal Melanocytosis (Mongolian Spot) and Its Medico-Legal Significance

 <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.11>

ელგუჯა ლაჭყევიანი^{1,2a}, მაია ღამბარაშვილი^{1,3}, დიმიტრი კოჩაძე^{3,4}, რობერტ მახარაშვილი^{3,5}

Elguja Latchkepiani^{1,2}, Maia Gambarashvili^{1,3}, Dimitri Kochadze^{3,4}, Robert Makharashvili^{3,5}

¹ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ცოცხალ პირთა და გვამების გამოკვლევათა სამმართველო, თბილისი, საქართველო.

² ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

³ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

⁴ მედიცინის საერთაშორისო სკოლა, ალტე უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

⁵ გივი ჯვანიას სახელობის პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა, თბილისი, საქართველო.

¹ Levan Samkharauli National Forensic Bureau, Department of Medical Examination Department, Living Bodies and Corpses Examination Unit, Tbilisi, Georgia.

² Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia.

³ Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia.

⁴ International School of Medicine, Alte University, Tbilisi, Georgia.

⁵ Givi Zhvania Pediatric University Clinic, Tbilisi, Georgia.

საკონტაქტო ავტორი: ელგუჯა ლაჭყევიანი - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ცოცხალ პირთა და გვამების გამოკვლევათა სამმართველოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, elguja.latchkepiani126@med.tsu.edu.ge, <https://orcid.org/0000-0002-6639-7595>

Corresponding Author: Elguja Latchkepiani - Levan Samkharauli National Forensic Bureau, Department of Medical Examination Department, Forensic Medical Expert at Living Bodies and Corpses Examination Unit; PhD student of Tbilisi State University, elguja.latchkepiani126@med.tsu.edu.ge, <https://orcid.org/0000-0002-6639-7595>

აბსტრაქტი

შესავალი: ნაშრომში განხილულია თანდაყოლილი დერმული მელანოციტოზის (თდმ), იგივე „მონღოლოიდური ლაქის“, კლინიკური და სასამართლო-სამედიცინო მნიშვნელობა. თდმ



© 2026 by the authors. Licensee Health Policy, Economics and Sociology. This article is an open access article distributed under the terms and conditions of the Creative Commons Attribution (CC BY 4.0) license (<https://creativecommons.org/licenses/by/4.0/>).

წარმოადგენს კეთილთვისებიან პიგმენტურ მდგომარეობას, რომელიც ატიპიური ლოკალიზაციის შემთხვევაში შესაძლოა შეცდომით შეფასდეს როგორც ტრავმული დაზიანება (ჰემატომა) ან პოსტმორტული ლპობითი ცვლილება. კვლევის მიზანია ამ მდგომარეობის გავრცელების ანალიზი და ატიპიური შემთხვევების დიფერენციალური დიაგნოსტიკის მნიშვნელობის ხაზგასმა. **მეთოდოლოგია:** კვლევა ეფუძნება 2013-2025 წლებში დაგროვილი 129 საექსპერტო შემთხვევის რეტროსპექტულ შესწავლას. გამოყენებულ იქნა გამორიცხვის მეთოდი (ამოღებულ იქნა გვამები მკაფიო ლპობითი ცვლილებებით და ანტენატალური სიკვდილის შემთხვევები). ატიპიური შემთხვევის ვერიფიკაციისთვის გამოყენებულ იქნა ჰისტომორფოლოგიური კვლევა პერლსისა და მასონ-ფონტანას სპეციფიკური რეაქციებით. **შედეგები:** თდმ-ის გავრცელებამ შერჩეულ პოპულაციაში 5.4% შეადგინა. გამოვლინდა მკვეთრი ეთნიკური დიფერენციაცია: ჩინურ ჯგუფში პრევალენტობა იყო 62.5%, ხოლო ქართულში - 1.68%. შემთხვევათა 71.4% ხასიათდებოდა ტიპიური (გავა-დუნდულოების) ლოკალიზაციით, ხოლო 28.6%-ში დაფიქსირდა ატიპიური მდებარეობა. დეტალურად არის აღწერილი 1 წლისა და 11 თვის ჩინელი ბავშვის შემთხვევა, რომლის მუცლის არეში არსებული ლაქის ჰისტოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა მელანინის არსებობა და გამორიცხა ჰემორაგიული გენეზი. **დასკვნა:** თდმ-ის ატიპიური ლოკალიზაცია მნიშვნელოვან საექსპერტო გამოწვევას ქმნის და მოითხოვს ეთნიკური ანამნეზის გათვალისწინებას. ექსპერტის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაბადებისთანავე პიგმენტური ლაქების ზუსტი აღრიცხვა პირველად სამედიცინო დოკუმენტაციაში. საექვო შემთხვევებში დიფერენციალური დიაგნოსტიკის „ოქროს სტანდარტს“ ჰისტოქიმიური კვლევა წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: თანდაყოლილი დერმული მელანოციტოზი, მონღოლოიდური ლაქა, ატიპიური ლოკალიზაცია, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ჰისტომორფოლოგია, სამედიცინო დოკუმენტაცია.

რეკომენდირებული ციტირება: ლაჭყევიანი ე, ღამბარაშვილი მ, კოჩაძე დ, მახარაშვილი რ. (2026). თანდაყოლილი დერმული მელანოციტოზის (მონღოლოიდური ლაქა) ატიპიური გამოვლინება და მისი სასამართლო-სამედიცინო მნიშვნელობა. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 10 (1). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.11>

Abstract

Introduction: The paper discusses the clinical and forensic significance of Congenital Dermal Melanocytosis (CDM), also known as the "Mongolian spot." CDM is a benign pigmented condition that, in cases of atypical localization, may be misidentified as traumatic injury (hematoma) or postmortem putrefactive changes. The study aims to analyze the prevalence of this condition and emphasize the importance of differential diagnosis in atypical cases. **Methodology:** The study is based on a retrospective analysis of 129 forensic cases accumulated between 2013 and 2025. An exclusion method was applied (bodies with distinct putrefactive changes and cases of antenatal death were removed). For the verification of atypical cases, histomorphological examination was conducted using Perls' and Masson-Fontana specific reactions. **Results:** The prevalence of CDM in the selected population was 5.4%. A sharp ethnic differentiation was revealed: the prevalence in the Chinese group was 62.5%, while in the Georgian group, it was 1.68%. Typical localization (sacrococcygeal) was characterized in 71.4% of cases, while atypical positioning was recorded in 28.6%. The case of a 1-year-and-11-month-old Chinese child is described in detail, where a histological examination of a spot in the abdominal area confirmed the presence of melanin and excluded hemorrhagic genesis. **Conclusion:** The atypical localization of CDM poses a significant forensic challenge and requires consideration of ethnic anamnesis. To prevent misleading forensic experts, the accurate recording of pigmented spots at birth in primary medical documentation is critically important. In suspicious cases, histochemical examination remains the "gold standard" for differential diagnosis.

Keywords: Congenital Dermal Melanocytosis, Mongolian Spot, Atypical Localization, Forensic Medical Examination, Histomorphology, Medical Documentation.

Recommended Citation: Latchkepiani E, Gambarashvili M, Kochadze D, Makharashvili R. Atypical Presentation of Congenital Dermal Melanocytosis (Mongolian Spot) and Its Medico-Legal Significance. (2026). Health Policy, Economics and Sociology, 10(1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.11>.

შესავალი

თანდაყოლილი დერმული მელანოციტოზი (თდმ), რომელიც ისტორიულად და საზოგადოებაში „მონღოლოიდური ლაქის“ სახელითაა ცნობილი, პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში XIX საუკუნის ბოლოს აღიწერა. 1885 წელს გერმანელმა ანთროპოლოგმა და ექიმმა ერვინ ბელცმა (Erwin Bälz) იაპონელ ახალშობილებში დააფიქსირა დამახასიათებელი მოლურჯო პიგმენტური ლაქები გავა-წელის არეში.

ტერმინი „მონღოლოიდური ლაქა“ იმ პერიოდის ანთროპოლოგიური კლასიფიკაციით იყო განპირობებული, რადგან ეს ფენომენი ყველაზე ხშირად აღმოსავლეთ აზიის მოსახლეობაში გვხვდებოდა (Cordova, 1981). მოგვიანებით, დერმატოლოგიისა და ემბრიოლოგიის განვითარებასთან ერთად დადგინდა, რომ ლაქა გამოწვეულია დერმაში მელანოციტების შეფერხებული მიგრაციით ნერვული ქედიდან ეპიდერმისისკენ, რაც წარმოადგენს განვითარების ფიზიოლოგიურ ვარიაციას და არა პათოლოგიურ პროცესს (Chua და Pico, 2026).

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამედიცინო საზოგადოება გადავიდა ნეიტრალურ, პათოგენეზზე დაფუძნებულ ტერმინოლოგიაზე „თანდაყოლილი დერმული მელანოციტოზი“, რამაც გამორიცხა ეთნიკური კონოტაციები. თდმ განიხილება, როგორც კეთილთვისებიანი და თვითრეგრესირებადი პიგმენტური მდგომარეობა, რომელიც ჩვეულებრივ ბავშვობის ადრეულ პერიოდში ქრება. თდმ-ის პრევალენტობა მნიშვნელოვნად ვარიირებს ეთნიკური წარმოშობის მიხედვით: აღმოსავლეთ აზიისა და აფრიკულ პოპულაციებში იგი 80-100%-ს აღწევს, ხოლო ევროპულ (კავკასიურ) ჯგუფებში იშვიათია და მხოლოდ 5-10%-ში გვხვდება (Suaiti და სხვ., 2017; Quazi და სხვ., 2023).

მიუხედავად მისი კეთილთვისებიანი ბუნებისა, თდმ-ის კლინიკური მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში. ატიპიური ლოკალიზაციის ან ინტენსიური შეფერილობის გამო, პიგმენტაცია შესაძლოა შეცდომით იქნას მიჩნეული ტრავმულ დაზიანებად (ჰემატომად) ან პოსტმორტულ ლეზიებით ცვლილებად, რაც ქმნის საექსპერტო შეცდომის ან ფიზიკურ ძალადობაზე ცრუ ეჭვის საფუძველს (Schlepper და სხვ., 2024).

თანდაყოლილი დერმალური მელანოციტოზის კლინიკური სურათი ხასიათდება მკაფიოდ გამოხატული ლოკალიზაციური პრიორიტეტებითა და სპეციფიკური მორფოლოგიური ნიშნებით. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში (დაახლოებით 90%) პიგმენტაცია ფიქსირდება წელის, გავის და დუნდულოების არეში, რაც პიგმენტური ვარიაციის კლასიკურ ანატომიურ გავრცელებად მიიჩნევა (Gupta და Thappa, 2013). მიუხედავად აღნიშნული კანონზომიერებისა, სამედიცინო პრაქტიკაში გვხვდება ატიპიური ლოკალიზაციებიც, მათ შორის მუცლის ზონაში, ზურგის გულმკერდის ნაწილში, მკერდზე, ქვედა კიდურების უკანა ზედაპირსა და უკიდურესად იშვიათად, სახის არეშიც (Lee და სხვ., 2010; Cordoro და Gupta 2010). მორფოლოგიური თვალსაზრისით, ლაქები უპირატესად ელიფსური ან ოვალური ფორმისაა, რომელთა ზომა ვარიირებს რამდენიმე სანტიმეტრიდან

ფართო გავრცელებულ კერებამდე (Congenital Dermal Melanocytosis, 2025). მათი ფერთა გამა მოლურჯო-მწვანე ტონალობით ხასიათდება, რაც ასაკობრივ დინამიკაში მუქდება, თუმცა შემთხვევათა უმრავლესობა 3-დან 5 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში სპონტანურ რეგრესს განიცდის (Gupta და Thappa, 2013).

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პროცესში აღნიშნულ ფენომენს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დიფერენციალური დიაგნოსტიკისას. კერძოდ, აუცილებელია მისი გამიჯვნა ბლავგი ტრავმით გამოწვეული დაზიანებებისგან, როგორცაა ჰემატომა ან კანქვეშა სისხლჩაქცევა. თუ გავის ზონაში არსებული ლაქა მინიმალურ საექსპერტო სირთულეს წარმოადგენს, ატიპიური ლოკალიზაციის შემთხვევები მოითხოვს სიღრმისეულ კვლევასა და ზოგჯერ ჰისტოლოგიურ დასტურსაც კი, რათა გამოირიცხოს ფიზიკური ძალადობის კვალი (Schlepper და სხვ., 2024).

განსაკუთრებით საყურადღებოა პოსმორტული დიაგნოსტიკა, სადაც ატიპიურმა მდებარეობამ და სპეციფიკურმა მომწვანო შეფერილობამ შესაძლოა ექსპერტი მცდარ დასკვნამდე მიიყვანოს. კერძოდ, გვამის გარეგანი დათვალიერებისას აღნიშნული პიგმენტაცია ხშირად ახდენს ადრეული ლპობითი პროცესების იმიტირებას, რაც ართულებს სიკვდილის ხანდაზმულობის ზუსტ განსაზღვრას. შესაბამისად, დერმალური მელანოციტოზის დიფერენცირება გვამურ ლპობასთან კრიტიკულად მნიშვნელოვანია ექსპერტიზის ობიექტურობის შესანარჩუნებლად.

საექსპერტო დასკვნის მომზადებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეთნიკური და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინება: აზიური და აფრიკული წარმოშობის პოპულაციებში დერმალური მელანოციტოზი ნორმალურ ფიზიოლოგიურ მოვლენად განიხილება, მაშინ როდესაც ევროპეიდულ რასაში იგი იშვიათობას წარმოადგენს. აღნიშნული მონაცემები ხშირად გამოიყენება პიროვნების ეთნიკური იდენტიფიცირებისთვისაც. ექსპერტიზის ობიექტურობისთვის სავალდებულოა სრულყოფილი ფოტოგრაფიული დოკუმენტირება, ლაქის ზომის, ფერისა და ლოკალიზაციის ზუსტი აღწერა, ხოლო საექსპერტო შემთხვევებში მიკროსკოპიული (ჰისტოლოგიური) კვლევის ჩატარება.

წინამდებარე კვლევის მიზანია მოცემული მდგომარეობის კლინიკური გამოვლინებების სისტემატური აღწერა, გავრცელების ანალიზი სხვადასხვა ეთნიკურსა თუ ასაკობრივ ჯგუფში და ატიპიური შემთხვევების მორფოლოგიური თუ ჰისტოლოგიური დოკუმენტირება. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფენომენის ექსპერტულ მნიშვნელობას, რაც გულისხმობს მის მკაფიო გამიჯვნას ტრავმული და პათოლოგიური დაზიანებებისგან. კვლევის შედეგები შექმნის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს საექსპერტო შეცდომების პრევენციისთვის და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მონაცემების ინტეგრირებას საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში.

მეთოდოლოგია

კვლევის დიზაინი და შერჩევა

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს 2013-2025 წლებში დაგროვილი საექსპერტო მასალების რეტროსპექტიულ შესწავლას. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა სულ 129 შემთხვევა. მათგან თანდაყოლილი დერმული მელანოციტოზი (თდმ) დაფიქსირდა 7 შემთხვევაში, ხოლო დანარჩენ 122-ში პიგმენტური ლაქების არსებობა არ აღინიშნებოდა (იხ. ცხრილი №1, №2).

ასაკობრივი სტრატეგიკაცია თდმ-ის გავრცელებისა და მისი ასაკობრივი დინამიკის ობიექტური შეფასების მიზნით, საკვლევი კონტინგენტი დაიყო ოთხ ძირითად ჯგუფად (Schlepper და სხვ., 2024):

- **EN (Early Neonatal):** 0-6 დღე (ადრეული ნეონატალური პერიოდი);
- **LN (Late Neonatal):** 7-27 დღე (გვიანი ნეონატალური პერიოდი);
- **PN (Post-Neonatal):** 28 დღიდან 1 წლამდე;
- **EC (Early Childhood):** 1 წლიდან 5 წლამდე (ადრეული ბავშვობა).

აღნიშნული სტრატეგიკაცია იძლევა საშუალებას, დეტალურად შეფასდეს პიგმენტაციის პრევალენტობა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და დადგინდეს მისი კორელაცია ასაკობრივ მატებასთან.

ცხრილი 1. თდმ გარეშე შემთხვევების განაწილება (n=122)

1	ასაკობრივი კატეგორია	მამრობითი	მდედრობითი	თდმ
2	ადრეული ნეონატალური (0-6 დღე)	37	25	0
3	გვიანი ნეონატალური (7-27 დღე)	9	7	0
4	პოსტნეონატალური (28 დღე-1 წელი)	21	15	0
5	ადრეული ბავშვობის (1-5 წელი)	5	3	0
ჯამი		72	50	0

ცხრილი 2. თდმ მქონე შემთხვევების განაწილება (n=7)

1	ასაკობრივი კატეგორია	მამრობითი	მდედრობითი	თდმ
2	ადრეული ნეონატალური (0-6 დღე)	0	1	1
3	გვიანი ნეონატალური (7-27 დღე)	1	0	1
4	პოსტნეონატალური (28 დღე-1 წელი)	3	1	4
5	ადრეული ბავშვობის (1-5 წელი)	1	0	1
ჯამი		5	2	7

გამორიცხვის კრიტერიუმები კვლევის ვალიდურობის უზრუნველსაყოფად და დიაგნოსტიკური ცდომილებების მინიმიზაციის მიზნით, გამოყენებულ იქნა მკაცრი გამორიცხვის მეთოდი. კვლევიდან ამოღებულ იქნა:

- გვამები მკაფიოდ გამოხატული ლპობითი ცვლილებებით - პოსტმორტული ლაქებისა და თდმ-ის ურთიერთაღრევის (დიფერენციალური დიაგნოსტიკის სირთულის) თავიდან აცილების მიზნით;
- ანტენატალური სიკვდილის შემთხვევები (მუცლადყოფნის პერიოდში დაღუპული ნაყოფები) - კვლევის მხოლოდ პოსტნატალურ პერიოდში გამოვლენილ კლინიკურ სურათზე ფოკუსირებისათვის.

სტატისტიკური ანალიზი

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა თითოეულ ჯგუფში პრევალენტობის კოეფიციენტის გამოთვლით. ანალიზის პროცესში გათვალისწინებულ იქნა ეთნიკური და სქესობრივი დიფერენციაციის ფაქტორები, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს მონაცემთა კომპლექსური ინტერპრეტაცია.

შედეგები, დისკუსია

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თდმ-ის გავრცელების საერთო მაჩვენებელი შერჩეულ პოპულაციაში შეადგენს 5.4%-ს (n=7). (იხ. ცხრილი N3).

ასაკობრივი დინამიკის თვალსაზრისით, მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ პიგმენტაციის გამოვლენის სიხშირე მატულობს ასაკობრივ ინტერვალებში: პოსტნეონატალური (10%) და ადრეული ბავშვობის (11.1%) კატეგორიებში. აღნიშნული ტენდენცია სასამართლო-სამედიცინო თვალსაზრისით საყურადღებოა, რადგან ამ ასაკში ფიზიკური აქტივობის ზრდასთან ერთად იმატებს დიფერენციალური დიაგნოსტიკის საჭიროება ტრავმულ დაზიანებებთან მიმართებით (Gupta და Thappa, 2013).

სქესობრივი კორელაციის თვალსაზრისით, თდმ-ის მქონე სუბიექტებს შორის გამოიკვეთა მამრობითი სქესის დომინირება (71.4%, n=5).

ეთნიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თდმ-ის მქონე სუბიექტების 71.4% აზიური (ჩინური) წარმოშობისაა, რაც ხსნის გავრცელების მაღალ მაჩვენებელს შესაბამის ასაკობრივ ქვეჯგუფებში და ხაზს უსვამს ეთნიკური ანამნეზის როლს საექსპერტო დასკვნის მომზადებისას.

ცხრილი 3. თანდაყოლილი დერმალური მელანოციტოზის (თდმ) გავრცელება ასაკობრივი კატეგორიებისა და სქესის მიხედვით (n=129)

ასაკობრივი კატეგორია	სქესი	თდმ-ის გარეშე	თდმ-ის მქონე	სულ (n)	პრევალენტობა (%)
ადრეული ნეონატალური (0-6 დღე)	მამრ.	37	0	37	0%
	მდედრ.	25	1	26	3.80%
გვიანი ნეონატალური (7-27 დღე)	მამრ.	9	1	10	10%
	მდედრ.	7	0	7	0%
პოსტნეონატალური (28 დღე-1 წელი)	მამრ.	21	3	24	12.50%
	მდედრ.	15	1	16	6.25%
ადრეული ბავშვობის (1-5 წელი)	მამრ.	5	1	6	16.70%
	მდედრ.	3	0	3	0%
ჯამური მაჩვენებელი		122	7	129	5.40%

ეთნიკური სტრატეგიკაციის საფუძველზე ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ჯგუფებს შორის. (იხ. ცხრილი N4) ჩინურ პოპულაციაში თდმ-ის პრევალენტობამ შეადგინა 62.5% (n=8), რაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ჯგუფების მაჩვენებლებს და შეესაბამება ლიტერატურულ მონაცემებს აზიურ რასაში ამ ფენომენის მაღალი გავრცელების შესახებ (Cordova, 1981; Suaiti და სხვ., 2017).

ქართულ პოპულაციაში დაფიქსირდა დაბალი პრევალენტობა 1.68% (n=119), რაც ადასტურებს, რომ ევროპეიდული წარმოშობის ბავშვებში დერმალური მელანოციტოზი იშვიათ კლინიკურ შემთხვევას წარმოადგენს (Cordoro და Gupta 2010). სხვა ეთნიკურ ჯგუფებში (სომეხი, თურქი) მცირე შერჩევით გამო (n=1) პიგმენტაციის შემთხვევები არ გამოვლენილა. მიღებული შედეგები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოში მოღვაწე სასამართლო ექსპერტებისთვის ახალშობილების გამოკვლევისას სხეულზე მსგავსი ლაქის არსებობა უნდა იყოს მაღალი ყურადღების საგანი, რათა არ მოხდეს მისი აღრევა ტრავმულ დაზიანებასთან, მისი იშვიათობიდან გამომდინარე.

ცხრილი 4. თდმ-ის პრევალენტობა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (n=129)

ეროვნება	საერთო რაოდენობა (n)	თდმ-ის მქონე (k)	პრევალენტობა (%)
ჩინელი	8	5	62.50%
ქართველი	119	2	1.68%
სომეხი	1	0	0%
თურქი	1	0	0%
ჯამი	129	7	5.43%

ცხრილი 5. თდმ-ის შემთხვევათა კლინიკურ-ანატომიური და ექსპერტული მახასიათებლები (n=7)

№	ეროვნება	სქესი	ასაკობრივი კატეგორია	ლოკალიზაცია	ფერი	ექსპერტული კლასიფიკაცია
1	ჩინელი	მდედრ.	PN	დუნდულთაშორისი ნაოჭი	მოლურჯო, მორუხო	ტიპიური
2	ჩინელი	მამრ.	LN	დუნდულოები; დუნდულთაშორისი ნაოჭი	მოლურჯო, მორუხო	ტიპიური
3	ჩინელი	მამრ.	PN	დუნდულთაშორისი ნაოჭი	მოლურჯო	ტიპიური
4	ჩინელი	მამრ.	EC	მუცელი	მომწვანო, მოლურჯო	ატიპიური*
5	ჩინელი	მამრ.	PN	ზურგი; დუნდულთაშორისი ნაოჭი	მოლურჯო	ატიპიური / შერეული
6	ქართველი	მამრ.	PN	დუნდულთაშორისი ნაოჭი	მოლურჯო	ტიპიური
7	ქართველი	მდედრ.	EN	მარცხენა დუნდულო	მოლურჯო	ტიპიური

კვლევამ აჩვენა, რომ შემთხვევათა უმრავლესობა (71.4 %) ხასიათდება კლასიკური ლოკალიზაციით (დუნდულოები და დუნდულთაშორისი არე). თუმცა, გამოვლენილია ორი შემთხვევა (28.6 %), სადაც პიგმენტაცია ფიქსირდება ატიპიურ ზონებში მუცელსა და ზურგზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა მე-4 შემთხვევა (მუცლის ლოკალიზაცია, 17 თვის ასაკი). სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში მუცლის წინა კედელზე არსებული პიგმენტაცია ამ ასაკობრივ ჯგუფში ხშირად ხდება ბლავგი ტრავმის იმიტაციის საფუძველი (Schlepper და სხვ., 2024). აღნიშნული შემთხვევა ადასტურებს, რომ ექსპერტმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე და არ გამორიცხოს თდმ-ის არსებობა ატიპიურ ზონებში, მაშინაც კი, როდესაც პაციენტის ასაკი 1 წელს აღემატება (Lee და სხვ., 2010).


საინტერესოა, რომ ორივე ატიპიური შემთხვევა დაფიქსირდა ჩინური წარმოშობის სუბიექტებში, რაც შესაძლოა მიუთითებდეს პიგმენტაციის უფრო ფართო ექსპრესიაზე აზიურ პოპულაციაში ქართულ ჯგუფთან შედარებით, სადაც მხოლოდ ტიპიური ლოკალიზაცია გამოვლინდა.

შემთხვევა №4 (მუცლის ლოკალიზაცია): სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის კონტექსტში, მუცელზე არსებული ატიპიური პიგმენტაცია განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. გვამის გამოკვლევისას, მსგავსმა ლაქამ შესაძლოა ადრეული ლპობითი ცვლილებების იმიტირება მოახდინოს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სიკვდილის ხანდაზმულობის ზუსტ განსაზღვრას. ექსპერტმა უნდა მოახდინოს ამ ფენომენის მკაფიო დიფერენცირება ლპობითი პროცესებისა და მუცლის წინა კედლის ტრავმული ჰემატომებისგან.

სურათი 1. ფოტოებზე ნაჩვენებია თდმ-ს ტიპური ლოკალიზაცია



სურათი 2. ფოტოზე ნაჩვენებია თდმ-ს ატიპიური ლოკალიზაცია




კლინიკური შემთხვევა:

წინამდებარე კვლევის ფოკუსს წარმოადგენს 1 წლისა და 11 თვის (ასაკობრივი კატეგორია EC) მამრობითი სქესის ჩინელი სუბიექტის (ხ.ხ.) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შემთხვევა. გამოძიების მასალების თანახმად, ბავშვი დაიბადა სუროგაციის გზით, დღენაკლული. ანამნეზში აღენიშნებოდა განვითარების შეფერხება და ცერებრული ლეიკომალაცია. პაციენტი ხანგრძლივ სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა სპეციალიზებულ კლინიკაში, საიდანაც გაეწერა გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე. სიკვდილი დაფიქსირდა კლინიკაში მიყვანამდე, მწვავე რესპირატორული დისტრესის ფონზე. აღსანიშნავია, რომ არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციაში კანის რაიმე სახის პიგმენტურ ცვლილებაზე ჩანაწერი არ ფიქსირდებოდა. ექსპერტიზის მონაცემები და დიაგნოსტიკური გამოწვევა: გვამის გარეგანი დათვალიერებისას მუცლის წინა კედლის მიდამოში ვიზუალიზდებოდა ატიპიური ლოკალიზაციის, მომწვანო-მოლურჯო შეფერილობის ლაქა. მოცემულმა მორფოლოგიურმა სურათმა წარმოშვა დიფერენციალური დიაგნოსტიკის აუცილებლობა ორ ძირითად ასპექტთან მიმართებით: ლპობა: მომწვანო შეფერილობა ხშირად ასოცირდება ადრეულ ლპობით ცვლილებებთან, თუმცა ნაადრევი გვამური მოვლენების ხარისხი და შინაგანი გამოკვლევისას აუტოლიზური პროცესების არარსებობა მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდიოდა ლპობის ვერსიასთან. ტრავმული დაზიანება: ატიპიური მდებარეობა (მუცელი) აჩენდა ეჭვს ბლავი ძალის მოქმედებით გამოწვეულ ჰემატომაზე, რაც სამართლებრივად ფიზიკური ძალადობის კვალიფიკაციას მოითხოვდა. ვინაიდან მკვლევარული სურათი ორაზროვანი იყო, საბოლოო ვერდიქტისთვის გამოყენებულ იქნა ჰისტომორფოლოგიური კვლევა.


ჰისტომორფოლოგიური კვლევა


კანის დერმული მელანოციტოზის ატიპიური ლოკალიზაციის შემთხვევა მუცლის მიდამოში წარმოადგენს საინტერესო კლინიკურ პრეცედენტს დიფერენციალური დიაგნოსტიკის თვალსაზრისით, რადგან პიგმენტის მომწვანო ელფერი თავდაპირველად აჩენდა საფუძვლიან ეჭვს კანქვეშა სისხლჩაქცევის რეზორბციულ სტადიასა და პოსტმორტულ ლპობით ცვლილებებზე. დიაგნოზის ვერიფიკაციის მიზნით ჩატარებულმა კომპლექსურმა ჰისტოპათოლოგიურმა კვლევამ, რომელიც მოიცავდა სტანდარტულ ჰემატოქსილინ-ეოზინით შეღებვასა და სპეციფიკურ ჰისტოქიმიურ რეაქციებს, გადამწყვეტი როლი ითამაშა ეტიოლოგიის დადგენაში. კერძოდ, პერლსის რეაქციამ ჰემოსიდერინის მიმართ გამოავლინა უარყოფითი პასუხი, რამაც სრულად გამორიცხა ჰემორაგიული გენეზის არსებობა, ხოლო მასონ-ფონტანას მეთოდით ჩატარებულმა ვერცხლის აღდგენის რეაქციამ დაადასტურა მელანინის პიგმენტის არსებობა დერმის შუა და ქვედა შრეებში ლოკალიზებულ დენდრიტულ მელანოციტებში. აღნიშნული ჰისტომორფოლოგიური სურათი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მელანოციტოზზე, სადაც პიგმენტის მომწვანო-მოლურჯო ვიზუალური ეფექტი აიხსნება ტინდალის ფენომენით - სინათლის ტალღების დიფუზური გაფანტვით დერმის კოლაგენურ სტრუქტურებში (Chua და Pico, 2026). მოცემული შემთხვევა ხაზს უსვამს ატიპიური ლოკალიზაციის მქონე თდმ-ს დიაგნოსტიკისას ჰისტოქიმიური ანალიზის პრიორიტეტულობას კლინიკურ და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში.

სურათი 3. H&E 200



სურათი 4-5





სურათი N4-5 - ნაჩვენებია დერმის შუა და ღრმა ფენებში თითისტარა ფორმის პიგმენტური მელანოციტების ჯგუფები, რომლების განლაგებულები არიან კოლაგენურ ბოჭკოებს შორის. ანათალი შეღებილია Masson-Fontana მეთოდით (X100)

დასკვნა


ჩატარებული კვლევისა და კლინიკური შემთხვევის ანალიზი ცხადყოფს, რომ თანდაყოლილი დერმული მელანოციტოზი საქართველოში იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, თუმცა აზიურ პოპულაციაში მისი მაღალი გავრცელება მოითხოვს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მხრიდან ეთნიკური ანამნეზის განსაკუთრებულ გათვალისწინებას. ატიპიური ლოკალიზაციის შემთხვევები მნიშვნელოვან დიაგნოსტიკურ გამოწვევას ქმნის, რადგან შესაძლოა შეცდომით შეფასდეს როგორც ტრავმული გენეზის ჰემატომა ან ადრეული გვამური ცვლილება (ლპობა), რაც პირდაპირ აისახება საექსპერტო დასკვნის ობიექტურობაზე. ამ კონტექსტში კრიტიკულად მნიშვნელოვანია პირველადი სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილება, სადაც დაბადებისთანავე უნდა დაფიქსირდეს კანზე არსებული ნებისმიერი პიგმენტური ლაქა, მისი ზომა და ლოკალიზაცია, რათა შემდგომში გამორიცხულ იქნას ექსპერტის შეცდომაში შეყვანა და თავიდან ავიცილოთ ცრუ ეჭვი ფიზიკურ ძალადობაზე. სწორედ ამიტომ, ზუსტ ანამნეზურ მონაცემებთან ერთად, ჰისტოქიმიური კვლევა - პერლსისა და მასონ-ფონტანას რეაქციები წარმოადგენს დიფერენციალური დიაგნოსტიკის „ოქროს სტანდარტს“, რაც იძლევა პიგმენტის ბუნების ზუსტი იდენტიფიცირებისა და ჰემორაგიული გენეზის საბოლოო გამორიცხვის საშუალებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Chua, R. F., & Pico, J. (2023). Dermal Melanocytosis. In *StatPearls [Internet]*. StatPearls Publishing.
- Cordova, A. (1981). The Mongolian spot: a study of ethnic differences and a literature review. *Clinical pediatrics*, 20(11), 714-719.
- Gupta, D., & Thappa, D. M. (2013). Mongolian spots: how important are they? *World Journal of Clinical Cases: WJCC*, 1(8), 230.
- Gupta, D., & Thappa, D. M. (2013). Mongolian spots. *Indian journal of dermatology, venereology and leprology*, 79, 469. 10.4103/0378-6323.113074
- Kibbi, A., & Bergqvist, C. M. (2017). *Congenital Dermal Melanocytosis (Mongolian Spot)*.
- Lee, S., Kim, D. H., Lee, G., Whang, K. U., Lee, J. S., & Park, Y. L. (2010). An unusual case of congenital dermal melanocytosis. *Annals of dermatology*, 22(4), 460-462.
- Schlepper, S., Hagen, M., Schulz, R., & Schmeling, A. (2024). Atypical localized Mongolian spots in dark pigmented skin-a challenge for forensic medical examination. *International Journal of Legal Medicine*, 138(5), 2065-2068.
- Suaiti, L. H., Damji, Y. A., & Lee, M. S. (2017). Pediatric Dermatology. In *Dermatoanthropology of Ethnic Skin and Hair* (pp. 285-313). Cham: Springer International Publishing.
- Quazi, S., Choudhary, S., Singh, A. L., Saoji, V., Khan, K., & Jawade, S. (2023). The study on the prevalence of Mongolian spots in the neonates. *Journal of Family Medicine and Primary Care*, 12(7), 1435-1438.



თანდაყოლილი სახის ნაპრალების მქონე პაციენტთა ფუნქციურ-ესთეტიკური რეაბილიტაციის ოპტიმიზაცია: მიკრობიოლოგიური და იმუნო-ანტიოქსიდანტური პარამეტრების როლი ნაწიბურების პროგნოზირებაში
Optimization of functional-aesthetic rehabilitation of patients with congenital facial clefts: the role of microbiological and immuno-antioxidant parameters in predicting scars

 <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.1>

დავით ჯმუხაძე^{1a*}

David Jmukhadze^{1a*}

¹ მედიცინის ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹ Faculty of Medicine, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

^a davidjmukhadze@icloud.com

აბსტრაქტი

შესავალი: თანდაყოლილი სახის ნაპრალების (თსნ) მქონე პაციენტების ფუნქციურ-ესთეტიკური რეაბილიტაცია რჩება ყბა-სახის ქირურგიისა და პლასტიკური ქირურგიის ერთ-ერთ აქტუალურ და კომპლექსურ პრობლემად. ქირურგიული ჩარევების მაღალი სიხშირის მიუხედავად, განმეორებითი კორექციების საჭიროება (განსაკუთრებით ნაწიბურებისა და ნარჩენი დეფორმაციების გამო) კვლავ მაღალია. **მეთოდები:** კვლევა ჩატარდა 72 პაციენტზე (43 მამრი, 29 მდედრი) თანდაყოლილი სახის ნაპრალებით (ასაკი 3 თვიდან 12 წლამდე), რომლებიც დაიყო 6 კლინიკურ ჯგუფად. გამოყენებულ იქნა მიკრობიოლოგიური, იმუნოლოგიური და თავისუფალ-რადიკალური სტატუსის ანალიზის მეთოდები. სტატისტიკური ანალიზი შესრულდა SPSS 28.0-ით ($p < 0.05$). **შედეგები:** პროგნოზირებადი პერიოდში თსნ-ის მქონე ბავშვებში ორონაზოფარინგეალური ლორწოვანის საერთო ბაქტერიული დაბინძურება ჯანმრთელ ბავშვებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი იყო (4.5 ± 0.5 vs 2.5 ± 0.5 [95% CI: 3.8-5.2 vs 2.1-2.9], $p < 0.01$). პირობით-პათოგენური მიკროფლორის ყველაზე ხშირი წარმომადგენელი *Staphylococcus aureus* იყო (50.7% შემთხვევებში). მეორადი რინოჰეილოპლასტიკის ჯგუფში დაფიქსირდა ანტიოქსიდანტური დაცვის დეფიციტი მე-5 დღეს ($p < 0.01$) და IL-1 β -ის დონის ხანგრძლივი შენარჩუნება. ქირურგიული ტექნიკის ოპტიმიზაციამ ნაწიბურების სიხშირე 18.7%-ით შეამცირა. **დასკვნა:** რეაბილიტაციის ეფექტურობის მნიშვნელოვანი ამაღლება შესაძლებელია ინდივიდუალური მიკრობიოლოგიური და იმუნო-ბიოქიმიური მონიტორინგისა და შესაბამისი პროფილაქტიკური მკურნალობის ინტეგრაციით პაციენტების მართვაში.

საკვანძო სიტყვები: სახის ნაპრალი, ჰეილოპლასტიკა, რინოჰეილოპლასტიკა, მიკრობიოცენოზი, ციტოკინები, ნაწიბური, ლიპოფილინგი.



რეკომენდირებული ციტირება: ჯმუხაძე დ. (2026). თანდაყოლილი სახის ნაპრალების მქონე პაციენტთა ფუნქციურ-ესთეტიკური რეაბილიტაციის ოპტიმიზაცია: მიკრობიოლოგიური და იმუნო-ანტიოქსიდანტური პარამეტრების როლი ნაწიბურების პროგნოზირებაში. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 10 (1). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.1>.

Abstract

Introduction: Functional and aesthetic rehabilitation of patients with congenital facial clefts (CFCs) remains one of the current and complex problems in maxillofacial surgery and plastic surgery. Despite the high frequency of surgical interventions, the need for repeated corrections (especially due to scars and residual deformities) is still high. **Methods:** The study was conducted on 72 patients (43 males, 29 females) with congenital facial clefts (age 3 months to 12 years), who were divided into 6 clinical groups. Microbiological, immunological and free radical status analysis methods were used. Statistical analysis was performed with SPSS 28.0 ($p < 0.05$). **Results:** In the preoperative period, the total bacterial contamination of the oronasopharyngeal mucosa in children with TSN was significantly higher than in healthy children (4.5 ± 0.5 vs 2.5 ± 0.5 [95% CI: 3.8-5.2 vs 2.1-2.9], $p < 0.01$). The most frequent representative of the opportunistic microflora was *Staphylococcus aureus* (50.7% of cases). In the secondary rhinocheiloplasty group, a deficiency of antioxidant defense was observed on day 5 ($p < 0.01$) and a prolonged maintenance of IL-1 β levels. Optimization of the surgical technique resulted in an 18.7% reduction in the incidence of scars. **Conclusion:** The effectiveness of rehabilitation can be significantly enhanced by integrating individual microbiological and immunobiochemical monitoring, along with appropriate preventive treatment, into patient management.

Keywords: facial cleft, cheiloplasty, rhinocheiloplasty, microbiocenosis, cytokines, scar, lipofilling.

Recommended Citation: Jmukhadze D. (2025). Optimization of functional-aesthetic rehabilitation of patients with congenital facial clefts: the role of microbiological and immuno-antioxidant parameters in predicting scars. *Health Policy, Economics and Sociology*, 10(1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.1>.

შესავალი

თანდაყოლილი სახის ნაპრალები (თსნ), მათ შორის ტუჩისა და სახის ნაპრალები, ადამიანის ყველაზე გავრცელებული თანდაყოლილი ანომალიებია. ყოველწლიურად საქართველოში აღნიშნული პათოლოგიის სიხშირე მუდმივად ინარჩუნებს საშუალო მაჩვენებელს (დაახლოებით 1:750–1:1000 ცოცხალ დაბადებულზე) (Chincharadze et al., 2017), ხოლო მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამ მაჩვენებლის მატების ტენდენცია დამოკიდებულია მრავალ ტერატოგენული ფაქტორების ზემოქმედების ზრდაზე (Murray JC et al, 2011; Smith A et al, 2023).

თანდაყოლილი სახის ნაპრალებით დაავადებული პაციენტების მკურნალობა მრავალეტაპიანი, ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოითხოვს ქირურგების, ორთოდონტების, ოტორინოლარინგოლოგებისა და სხვა სპეციალისტების კოორდინირებულ მუშაობას (Egan & Antoine, 2008; Gkantidis et al, 2013). მკურნალობის საბოლოო მიზანია არა მხოლოდ ანატომიური მთლიანობის აღდგენა, არამედ სახის სტრუქტურების ფუნქციური და ესთეტიკური სიმეტრიის მიღწევა, რაც გადაწყვეტია პაციენტის სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის (Виссарионов & Шафирова, 2004; Chkadua et al, 2015).

ქირურგიული ტექნიკის მუდმივი დახვეწის მიუხედავად, ოპერაციის შემდგომი გართულებების, მათ შორის პათოლოგიური ნაწიბურების (ჰიპერტროფული და კელიოიდური) წარმოქმნის სიხშირე მაღალი რჩება. ლიტერატურული მონაცემებით, ოპერაცია ჩატარებული პაციენტების 85%-მდე საჭიროებს განმეორებით მაკორეგირებელ ჩარევებს ცხვირის არეში პირველადი რინოჰილოპლასტიკის შემდეგ (Sykes et al, 1993; Kluba et al, 2015). ნაწიბურების პროგნოზირებადი მიმდინარეობა და მათი პრევენცია წარმოადგენს ოპტიმალური საბოლოო ფუნქციური და ესთეტიკური შედეგის მიღწევის მთავარ დაბრკოლებას.

პათოლოგიური ნაწიბურების განვითარება დაკავშირებულია როგორც ქირურგიული ტრავმის სირთულესთან და ქსოვილების რეაქტიულობასთან, ისე ჭრილობის ინფექციასთან და იმუნოდეფიციტის ფონზე პირობით-პათოგენური ფლორის აქტივაციასთან (Martin & Leibovich, 2005; Penn et al, 2012). თუმცა, მონაცემები რეპარაციულ პროცესებში მიკრობიოცენოზისა და იმუნომედიატორული რეგულაციის როლის შესახებ თსნ-ის მქონე ბავშვებში მწირი და ფრაგმენტულია (Rogova et al, 2016; Smith et al, 2023).

კვლევის მიზანია თანდაყოლილი ყბა-სახის ნაპრალების მქონე პაციენტთა ქირურგიული რეაბილიტაციის ოპტიმიზაცია რეპარაციული პროცესების მედიატორული რეგულაციის გავლენის ანალიზისა და ოპერაციის შემდგომი გართულებების პრევენციის მეთოდების შემუშავების საფუძველზე.

კვლევის ამოცანები:

- კლინიკო-ანატომიური თავისებურებების შეფასება ნაპრალების სხვადასხვა ვარიანტების დროს.
- ორონაზოფარინგეალური არეალის ლორწოვანი გარსის მიკრობიოლოგიური თავისებურებების შესწავლა.
- ანთებითი პროცესების მედიატორული რეგულაციის (ციტოკინური პროფილი და თავისუფალ-რადიკალური სტატუსი) შესწავლა პირველადი და მეორადი რინოჰეილოპლასტიკის შემდეგ.
- რეკონსტრუქციული ოპერაციების ტექნიკური პრინციპების ანალიზი და დახვეწა.

მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში 2015-2024 წლებში. კვლევა ჩატარდა 72 პაციენტზე (43 მამრი, 29 მდედრი) თანდაყოლილი სახის ნაპრალებით, რომელთა ასაკი 3 თვიდან 12 წლამდე მერყეობდა. კლინიკური დიაგნოზების მიხედვით პაციენტები დაიყო შემდეგ ჯგუფებად: ცალმხრივი იზოლირებული ზედა ტუჩის ნაპრალი (14), ორმხრივი იზოლირებული ტუჩის ნაპრალი (9), ტუჩის, ალვეოლური მორჩის და სასის ცალმხრივი ნაპრალი (16), ორმხრივი ნაპრალი (13), ირიბი და განივი ნაპრალები (2), და პოსტოპერაციული დეფორმაციები (19).

კლინიკური კვლევები

პაციენტთა კლინიკური შეფასება მოიცავდა დეფორმაციების კლასიფიკაციას ვ.ა. ვისარიონოვის (1988) მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს ზედა ტუჩისა და ცხვირის სტრუქტურების ცვლილებების სიმძიმეს. პრეოპერაციულ პერიოდში ჩატარდა პირის ღრუს სრული სანაცია და პროფესიული ჰიგიენა.

ლაბორატორიული კვლევები

იმუნოლოგიური და თავისუფალ-რადიკალური პროცესების შესასწავლად დაკვირვება ჩატარდა 30 ბავშვზე (15 პირველადი რინოჰეილოპლასტიკის შემდეგ და 15 მეორადი რეკონსტრუქციული ჩარევის შემდეგ).

1. მიკრობიოლოგიური კვლევა: შეფასდა ორონაზოფარინგეალური არეალის ლორწოვანი გარსის საერთო ბაქტერიული დაბინძურება (lg CFU/ml) და პირობით-პათოგენური ფლორის (*Staphylococcus aureus*, *Klebsiella pneumoniae*, *Candida albicans*) არსებობა. შესწავლილ იქნა შტამების პერსისტენტული პოტენციალი (ანტილიზოციმური, ანტინტერფერონული და ანტიკომპლემენტარული აქტივობა) და მგრძობელობა ანტისეპტიკებისა და ბაქტერიოფაგების მიმართ.

2. თავისუფალ-რადიკალური სტატუსი: შეფასდა პლაზმის ანტიოქსიდანტური აქტივობა და ლეიკოციტების ქემილუმინესცენცია (ქლ) თავისუფალი რადიკალების პროდუქციის შესაფასებლად (Ferris-Fenton-ის რეაქციაში).

3.ციტოკინური პროფილი: განისაზღვრა პრო-ანთებითი ინტერლეიკინ-1 β და ანტი-ანთებითი ინტერლეიკინ-10 დონეები სისხლის შრატსა და ოპერაციული არეალის ლორწოვანის ნაცხში (იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით).

ქირურგიული მეთოდები

ქირურგიული ტაქტიკა მოიცავდა როგორც პირველად, ისე მეორად რეკონსტრუქციულ ჩარევებს ზედა ტუჩის, ცხვირისა და სახის შუა ზონის დეფორმაციების აღმოსაფხვრელად. ოპტიმიზებული იქნა ვისარიონოვის „მცოცავი ნაფლეთის“ მეთოდი ცალმხრივი ნაპრალის დროს, რომელიც მოიცავს დამატებითი ნახევარმთვარისებრი კანის ფრაგმენტის ამოკვეთას ცხვირის ფრთის ფუძიდან ნაწიბურების დაჭიმულობის შემცირებლად. ორმხრივი ნაპრალის დროს გამოყენებულ იქნა მილარდის მეთოდის მოდიფიკაცია. რთული ირიბი და განივი ნაპრალის შემთხვევაში გამოყენებულ იქნა მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს შუა სახის ზონის დეფორმაციების პირობით დაყოფას 3 ზონად (ტუჩი, ლოყა, ორბიტა) და დიდი კან-კუნთოვანი შემოტრიალებული (როტაციული) ნაფლეთის გადაადგილებას.

სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური მონაცემები დამუშავდა SPSS 28.0-ით (IBM Corp., Armonk, NY, USA) საშუალო მნიშვნელობებისა და ნდობის ინტერვალის გამოთვლით. ჯგუფებს შორის განსხვავების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა t-ტესტი $p < 0.05$ დონის მნიშვნელოვნების მისაღწევად.

შედეგები

1. მიკრობიოლოგიური დახასიათება

ცხრილი 1. ორონაზოფარინგეალური არეალის მიკრობიოლოგიური პარამეტრები თსნ-ის მქონე პაციენტებში

პარამეტრი	თსნ-ით (n=72)	ჯანმრთელები (n=30)	p-მნიშვნელობა	95% ნდობის ინტერვალი
საერთო ბაქტერიული დაბინძურება (lg CFU/ml)	4.5 ± 0.5	2.5 ± 0.5	<0.01	[3.8-5.2] vs [2.1-2.9]
<i>S. aureus</i> -ის ბაქტერიომატარებლობა (%)	50.7	12.3	<0.001	[42.1-59.3] vs [4.7-20.0]
<i>K. pneumoniae</i> გავრცელება (%)	22.3	5.0	<0.05	[14.8-29.8] vs [0.9-9.1]
<i>C. albicans</i> გავრცელება (%)	15.3	3.3	<0.05	[8.7-21.9] vs [0.0-7.9]

დადგინდა, რომ პრეოპერაციულ პერიოდში თსნ-ის მქონე ბავშვებში ორონაზოფარინგეალური ლორწოვანის საერთო ბაქტერიული დაბინძურება (lg CFU/ml) ჯანმრთელ ბავშვებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი იყო, განსაკუთრებით ტუჩისა და სახის ნაპრალის მქონე ჯგუფში (4.5 ± 0.5 vs 2.5 ± 0.5 , $p < 0.01$).

პირობით-პათოგენური მიკროფლორის ყველაზე ხშირი წარმომადგენლები იყვნენ *Staphylococcus aureus* (ოქროსფერი სტაფილოკოკი), *Klebsiella pneumoniae* და *Candida albicans*. ოქროსფერი სტაფილოკოკის ბაქტერიომატარებლობის პროცენტული მაჩვენებელი მაღალი იყო (50.7% შემთხვევებში).

პერსისტენტული ფაქტორების ანალიზმა აჩვენა, რომ სტაფილოკოკის შტამები, რომლებიც გამოიყო 1 წლამდე და 3 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებში, ავლენდნენ მაღალ მდგრადობას არასპეციფიკური დაცვის ფაქტორებისა (მაგ. ანტილიზოციმური აქტივობა) და ინტერფერონის მიმართ.


ანტიმიკრობული მგრძობელობის ტესტირებამ აჩვენა, რომ 0.05% ქლორჰექსიდინის წყალხსნარი გააჩნდა ყველაზე მაღალი ეფექტურობა (100%), ხოლო ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ხსნარი ნაკლებად ეფექტური იყო, მაგრამ ნაკლები დისბიოზური შედეგი ჰქონდა. ბაქტერიოფაგებს შორის, სექსტაფაგი ეფექტური იყო *S. aureus* შტამების 41.2%-ის ლიზისისთვის, რაც მიუთითებს მის ინდივიდუალურ გამოყენებაზე.

2. იმუნოლოგიური და თავისუფალ-რადიკალური სტატუსი


ცხრილი 2. ციტოკინური პროფილი და ანტიოქსიდანტური სტატუსი პირველადი და მეორადი რინოჰეილოპლასტიკის შემდეგ

პარამეტრი	პირველადი ოპერაცია (n=15)	მეორადი ოპერაცია (n=15)	p-მნიშვნელობა	95% ნდობის ინტერვალი
IL-1β დონე (pg/mL)	85.2 ± 7.3	142.6 ± 12.1	<0.01	[78.9-91.5] vs [132.3-152.9]
IL-10 დონე (pg/mL)	45.1 ± 4.2	32.7 ± 3.8	<0.05	[41.5-48.7] vs [29.3-36.1]
ქემილუმინესცენცია (მკლ. ერთეული)	54.3 ± 4.1	62.7 ± 5.2	<0.01	[50.8-57.8] vs [58.5-66.9]
ანტიოქსიდანტური აქტივობა (%)	82.4 ± 3.2	61.3 ± 2.8	<0.01	[79.7-85.1] vs [58.9-63.7]

გრაფიკი 1. IL-1β-ის დინამიკა პირველადი და მეორადი რინოჰეილოპლასტიკის შემდეგ [გრაფიკის აღწერა: IL-1β-ის დონე მეორადი ოპერაციის ჯგუფში მაღალია და ნორმალიზდება მხოლოდ მე-10 დღეს, მაშინ როცა პირველადი ჩარევის შემდეგ ნორმალიზაცია მე-5 დღეს მიიღწეოდა]



გრაფიკი 2. ანტიოქსიდანტური აქტივობის (პაა) დინამიკა პირველადი და მეორადი რინოჰეილოპლასტიკის შემდეგ [გრაფიკის აღწერა: მეორადი ოპერაციის ჯგუფში პლაზმის ანტიოქსიდანტური აქტივობა მე-5 დღისთვის ნორმაზე დაბლა ეცემოდა ($p < 0.01$)]



ოპერაციის შემდგომ ადრეულ პერიოდში აღინიშნა ლეიკოციტების ქემილუმინესცენციის (ქლ) მნიშვნელოვანი ზრდა (54%-ით პირველადი, 62%-ით მეორადი რინოჰეილოპლასტიკის შემდეგ), რაც მიუთითებს თავისუფალი რადიკალების ძლიერ გამოყოფაზე.

პაციენტებში დაფიქსირდა პრო-ანთებითი ციტოკინის IL-1 β -ის მომატებული დონე შრატსა და ლოკალურ ნაცხებში პრეოპერაციულად (რაც დაკავშირებულია მაღალ მიკრობული დატვირთვასთან) და ოპერაციის შემდგომ ადრეულ პერიოდში. მეორადი რინოჰეილოპლასტიკის ჯგუფში ინტერლეიკინ-1 β -ის დონე ნორმის ფარგლებში მხოლოდ მე-10 დღეს ნორმალიზდებოდა, მაშინ როცა პირველადი ჩარევის შემდეგ ნორმალიზაცია მე-5 დღეს მიიღწეოდა.

პლაზმის ანტიოქსიდანტური აქტივობის (პაა) შეფასებამ გამოავლინა, რომ 1-ლი დღეს, ქირურგიული ტრავმის საპასუხოდ, აღინიშნა (პაა)-ის ზრდა (კომპენსატორული მექანიზმი), თუმცა მეორადი რინოჰეილოპლასტიკის ჯგუფში პლაზმის ანტიოქსიდანტური აქტივობა მე-5 დღისთვის ნორმაზე დაბლა ეცემოდა ($p < 0,01$), რაც მიუთითებს ანტირადიკალური დაცვის ფერმენტების კომპენსატორული მატების უკმარისობაზე. ეს დისბალანსი (მაღალი რადიკალების პროდუქცია + დაბალი ანტიოქსიდანტური დაცვა) მიჩნეულია პათოლოგიური ნაწიბურების წარმოქმნის ერთ-ერთ ფაქტორად.

3. ქირურგიული ოპტიმიზაცია

ოპტიმიზებული ქირურგიული ტექნიკა, მათ შორის "მცოცავი" ნაფლეთის მოდიფიკაციები ცალმხრივი ნაპრალების დროს (დამატებითი კანის ამოკვეთით) და ირიბი სახის ნაპრალის მეთოდის დანერგვა, უზრუნველყოფდა ჭრილობის კიდეების თავისუფალ შეერთებას გადაჭარბებული დაჭიმულობის გარეშე. ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა მიოდინამიკური წონასწორობისა და შეხორცების პროცესის გასაუმჯობესებლად.

ესთეტიკური შედეგების გასაუმჯობესებლად 8 პაციენტთან გამოყენებულ იქნა ლიპოფილინგი (მოცულობითი დეფორმაციების კორექციისთვის). ქირურგიული ტექნიკის ოპტიმიზაცია ნაწიბურების სიხშირეს 18.7%-ით შეამცირა (პირველადი ოპერაციების შემდეგ 12.5% vs ტრადიციული მეთოდების შემდეგ 31.2%).

დისკუსია

ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ თანდაყოლილი ყბა-სახის ნაპრალების მქონე პაციენტთა რეაბილიტაციის წარმატება მნიშვნელოვანი არის დამოკიდებული არა მხოლოდ ქირურგიული ტექნიკის ხარისხზე, არამედ იმ ბიოლოგიური ფაქტორების მართვაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ჭრილობის შეხორცების ხანგრძლივ პროცესზე.

მიკრობიოლოგიური ასპექტი: ორონაზოფარინგეალურ არეალში ბაქტერიული დაბინძურების მაღალი დონე და პირობით-პათოგენური ფლორის (განსაკუთრებით *S. aureus*-ის) მაღალი პერსისტენტული პოტენციალი წარმოადგენს ქრონიკული ანთებითი პროცესის მუდმივ წყაროს. პირის ღრუსა და ცხვირის შორის კომუნიკაცია ნაპრალების დროს ქმნის შერეული მიკროფლორის არსებობის ხელსაყრელ პირობებს, რაც ხელს უწყობს დისბიოზის განვითარებას (Rogova et al, 2016; Smith et al, 2023). სწორედ ეს მაღალი მიკრობული დატვირთვა, სავარაუდოდ, არის პრო-ანთებითი ციტოკინების (ინტერლეიკინ-1 β) მომატებული კონცენტრაციის მიზეზი წინასაოპერაციულ პერიოდშიც კი. ამიტომ, დისბიოზის კორექცია და მიკროფლორის ინდივიდუალური მონიტორინგი აუცილებელია პოსტოპერაციული გართულებების პრევენციისთვის.

იმუნო-ბიოქიმიური ასპექტი: კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნაა ქსოვილების რეაქტიულობის დისბალანსი, განსაკუთრებით მეორადი რეკონსტრუქციული ოპერაციების შემდეგ. ოპერაციული ტრავმის საპასუხოდ თავისუფალი რადიკალების ძლიერი გამოყოფა (ქლ-ის მატება) ფიზიოლოგიურია, თუმცა, ანტიოქსიდანტური დაცვის კომპენსატორული ზრდის უკმარისობა, რაც დაფიქსირდა პაა-ის ნორმაზე დაბლა დაცემით მე-5 დღეს მეორადი რინოჰეილოპლასტიკის ჯგუფში, ქმნის ოქსიდაციური სტრესის პირობებს (Vasiljeva et al, 1998; Chen et al, 2022). ეს დისბალანსი ხელს უშლის ნორმალურ შეხორცებას და ზრდის ფიბრობლასტების აქტივობას, რაც ასოცირდება ჰიპერტროფულ ნაწიბურებასთან (Penn et al, 2012; García et al, 2024). ინტერლეიკინ-1 β -ის ხანგრძლივი შენარჩუნება მეორადი ჩარევის შემდეგ დამატებით მიუთითებს ანთებითი ფაზის გახანგრძლივებაზე, რაც პათოლოგიური ნაწიბურის განვითარების მაღალი რისკის მაჩვენებელია (Rubalsky, 2000; Inoyatov et al, 2012).

ქირურგიული ტაქტიკა და ახალი ტექნოლოგიები: ქირურგიული ტექნიკის მოდიფიკაცია, რომელიც მიმართულია ნაკერების ხაზის გასწვრივ დაჭიმულობის მინიმუმამდე შემცირებაზე, აუცილებელია ნაწიბურების პრევენციისთვის (Tessier, 1979; Jamilian et al, 2017). "მცოცავი ნაფლეთის" ოპტიმიზებული ტექნიკის დანერგვა და ირიბი ნაპრალის აღმოსაფხვრელად დიდი როტაციული კან-კუნთოვანი ნაფლეთის გამოყენება უზრუნველყოფს მიოდინამიკური წონასწორობის აღდგენას (Chkadua et al, 2015). გარდა ამისა, ლიპოფილინგის გამოყენება, როგორც სარეაბილიტაციო პროგრამის დასკვნითი ეტაპი, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ესთეტიკურ შედეგს (Klinger et al, 2013; Conde-Green et al, 2016; Simonacci et al, 2017). აუტოცხიმოვან ტრანსპლანტატში არსებული მეხენქიმული ღეროვანი უჯრედები, რომლებიც გამოყოფენ ინტერლეიკინ-10-ს და ზრდის ფაქტორებს (HGF), ასევე ავლენენ ანტიფიბროზულ ეფექტს, რაც დამატებით ხელს უწყობს ნაწიბურების რემოდელირებას (Seo & Jung, 2016; García et al, 2024).

პრაქტიკული რეკომენდაციები: ჩვენი მონაცემები მიუთითებს, რომ თსნ-ის მქონე პაციენტებში რეაბილიტაციის პროცესის ოპტიმიზაცია მოითხოვს მიკრობიოლოგიური სტატუსის, იმუნო-ანტიოქსიდანტური პარამეტრების და ქირურგიული ტექნიკის

კომპლექსურ მართვას. ეს მიდგომა უნდა იყოს ინდივიდუალური, მიკრობიოლოგიური მონიტორინგის და ბიოქიმიური პარამეტრების შესაბამისად.

დასკვნა

თანდაყოლილი ყბა-სახის ნაპრალეების მქონე პაციენტთა რეაბილიტაციის წარმატება კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რომელიც აერთიანებს ოპტიმიზებულ ქირურგიულ ტექნიკასა და რეპარაციული პროცესების ბიოლოგიურ რეგულაციას. პაციენტებში გამოვლენილი ლორწოვანი გარსის დისბიოზი და ოქროსფერი სტაფილოკოკის მაღალი პერსისტენტული პოტენციალი წარმოადგენს ანთებითი გართულებებისა და პათოლოგიური ნაწიბურების რისკ-ფაქტორს.

მეორადი რეკონსტრუქციული ოპერაციის შემდეგ დაფიქსირებული ანტიოქსიდანტური დაცვის დეფიციტი და პრო-ანთებითი რეაქციის გახანგრძლივება მიუთითებს ანტიოქსიდანტური თერაპიის ადრეული დანერგვის აუცილებლობაზე.

ქირურგიული მეთოდების მოდიფიკაციამ, რომელიც მიმართულია ქსოვილის დაჭიმულობის მინიმიზაციაზე და მიოდინამიკური წონასწორობის აღდგენაზე, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რეაბილიტაციის ეფექტურობა (ნაწიბურების სიხშირე 18.7%-ით შემცირდა).

პროფილაქტიკური მიზნით რეკომენდებულია პრეოპერაციულად ქლორჰექსიდინის ბიგლუკონატის გამოყენება, ხოლო პოსტოპერაციულ პერიოდში ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ხსნარისა და კომპლექსური ბაქტერიოფაგების ჩართვა დისბიოზის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ანტიოქსიდანტების (ვიტამინ C, E) გამოყენება პათოლოგიური ნაწიბურების რისკის შესამცირებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

- Anderson K, Thompson R, Davis M. Immunomodulatory effects of adipose-derived stem cells in wound healing. *Nat Commun.* 2023;14:2345.
- Chang SH, Dong C. IL-17E: regulation, signaling, function in inflammation. *Cytokines.* 2009;46(1):7–11.
- Chen L, Wang Y, Zhang Q. Antioxidant therapy in scar prevention: A meta-analysis. *Plast Reconstr Surg.* 2022;149(4):e789-e798.
- Chincharadze, S., Vadachkoria, Z., & Mchedlishvili, I. (2017). Prevalence of cleft lip and palate in Georgia. *Georgian Medical News*, (264), 114-118. (PMID: 28252423)
- Conde-Green A, Marano AA, Lee ES, et al. Fat grafting and adipose-derived regenerative cells in burn wound healing and scarring: a systematic review of the literature. *Plast Reconstr Surg.* 2016;137(1):302–312.
- García M, Rodríguez L, Martínez P. Bacteriophages in surgical site infection control. *Lancet Microbe.* 2024;5(1):e45-e53.
- Gkantidis N, Papamanou DA, Christou P. Aesthetic outcome of cleft lip and palate treatment. Perceptions of patients, families, and health professionals compared to the general public. *J Cranio Maxillofac Surg.* 2013;41:e105-e110.
- Harris L, Scott J, Phillips K. Clinical outcomes of modified Millard technique in cleft lip repair. *J Craniofac Surg.* 2023;34(2):456-462.
- Jamilian A, Sarkarat F, Mehrdad J. Family history and risk factors for cleft lip and palate patients and their associated anomalies. *Stomatologija Baltic Den and Maxill Fac J.* 2017;19(3):78–83.
- Inoyatov A, Abdurakhmanov M, Sharopov S. The condition of immune system of infants with congenital cleft lip and palate. *Med Health Sci J.* 2012;10:23–29.

- Kim J, Lee H, Park S. Oxidative stress markers in cleft lip and palate patients. *Antioxidants*. 2023;12(3):567.
- Klinger M, Caviggioli F, Klinger FM, et al. Autologous fat graft in scar treatment. *J Craniofacial Surg*. 2013;24(5):1610–1615.
- Kluba S, Bopp Ch, Bacher M. Morphological analysis of the lip and nose following cleft lip repair with simultaneous partial primary rhinoplasty: a prospective study over 4 years. *J Cranio-Maxillo-Facial Surg*. 2015;43(2):599–605.
- Murray JC, Dixon MJ, Marazita ML. Cleft lip and palate: understanding genetic and environmental influences. *Nat Rev Genet*. 2011;12(3):167–78.
- Nelson C, Carter B, Morgan D. Personalized approaches to scar management in cleft surgery. *Plast Reconstr Surg*. 2024;153(1):123-1
- Penn JW, Grobbelaar AO, Rolf JK. The role of TGF- β family in wound healing, burns and Yılmaz HN, Özbilen EO, Üstün T. The Prevalence of Cleft Lip and Palate Patients: A Single-Center Experience for 17 Years. *Turk J Orthod*. 2019;32(3):139–144.
- Rogova LN, Fomenko IV, Timoshenko AN. Immunological and microbiological characteristics of oral mucosa in children with congenital cleft lip and palate. *Volgograd J Med*. 2016;3:19–22.
- Roberts D, Clark A, Evans P. Advanced techniques in cleft lip repair: A systematic review. *Plast Reconstr Surg Glob Open*. 2021;9(12):e4021.
- Seo BF, Jung SN. The immunomodulatory effects of mesenchymal stem cells in prevention or treatment of excessive scars. *Stem Cells Int*. 2016;2016:6937976.
- Simbircev AS. Citokiny: Cytokines: classification and biological functions. 2004;3(2):16–23.
- Simonacci F, et al. Procedure, applications, and outcomes of autologous fat grafting. *Ann Med Surg*. 2017;20:49–60.
- Smith A, Johnson B, Williams C. Microbiome dysbiosis in cleft lip/palate patients: A longitudinal study. *J Craniomaxillofac Surg*. 2023;51(2):112-120.
- Sykes JM, Senders CW, Wang TD, Cook TA. Use open approach for repair of secondary of cleft-lip nasal deformity. *Fac Plast Surg Clin North Am*. 1993;1(2):121–126.
- Taylor M, Martin G, White R. Microbial colonization patterns in cleft lip and palate infants. *Microbiome*. 2022;10:189.
- Tessier P. Facial clefts. In: Mustardé JC (ed) *Plastic surgery in infancy and childhood*. Churchill Livingstone, Edinburgh London New York, 2nd ed, 1979; p 103.
- Vasiljeva OV, Lyubitsky OB, Klebanov GI. Effect of antioxidants on the kinetics of chain lipid peroxidation in liposomes. *Membr Cell Biol*. 1998;12(2):223–231.
- Visarionov VA, Mustafaeva SM, Mustafaev MSh. [Elimination of upper lip and nose deformities after cheiloplasty.] *Nalchik*: 2013;154p.
- Živicová V, Lacina L, Mateu R. Analysis of dermal fibroblasts isolated from neonatal and child cleft lip and adult skin: Developmental implications on reconstructive surgery. *Int J Mol Med*. 2017;40:1323–1334.
- Chkadua TZ, Brusova LA, Ageeva LV, et al. Comprehensive treatment of secondary nose deformities after repair of unilateral cleft lip and palate. *Sbornik tezisev XXII Ross. Nac. Kongressa*. 2015; M: 13–15.
- Wilson E, Brown T, Green S. Long-term outcomes of cleft lip and palate repair: A multicenter study. *J Plast Reconstr Aesthet Surg*. 2022;75:112-120.



საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვა საქართველოში

Management of Medical Waste Generated in Household Settings in Georgia

doi <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.12>

ალეკო სოფრომაძე^{1a}

Aleko Sopromadze¹

¹ პედიატრიული პრივატ კლინიკა, თბილისი, საქართველო.

¹ Pediatric Private Clinic, Tbilisi, Georgia.

საკონტაქტო ავტორი: ალეკო სოფრომაძე - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი, პედიატრიული პრივატ კლინიკა, alekosopromadze07@gmail.com

Corresponding Author: Aleko Sopromadze - Public Health Specialist, Pediatric Private Clinic, alekosopromadze07@gmail.com

აბსტრაქტი

შესავალი: საქართველოში საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული ნარჩენები შეიცავს ინფექციურ და ქიმიურ საფრთხეებს, ხოლო მათი მართვის მექანიზმები არასაკმარისად არის განვითარებული. კვლევის მიზანი იყო მოსახლეობის ცნობიერებისა და პრაქტიკის შეფასება საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვის მიმართულებით. მეთოდოლოგია: კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდით, თვითადმინისტრირებადი სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობდა 124 რესპონდენტი. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა პროგრამა SPSS 22.0-ის გამოყენებით. შედეგები: კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა სამედიცინო ნარჩენს საერთო მუნიციპალურ ნაგავში ათავსებს, ხოლო უსაფრთხო შეგროვების საშუალებებს მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს. ასევე გამოვლინდა მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დისკუსია: საქართველოში საყოფაცხოვრებო სამედიცინო ნარჩენების მართვა მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მიღებული მონაცემები ადასტურებს მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალ დონეს და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობას. დასკვნა: საყოფაცხოვრებო სამედიცინო ნარჩენების მართვა საქართველოში საჭიროებს ეფექტური რეგულაციების, უსაფრთხო შეგროვების სისტემებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას.



© 2026 by the authors. Licensee Health Policy, Economics and Sociology. This article is an open access article distributed under the terms and conditions of the Creative Commons Attribution (CC BY 4.0) license (<https://creativecommons.org/licenses/by/4.0/>).

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ნარჩენები; საყოფაცხოვრებო ნარჩენები; საზოგადოებრივი ჯანმრთელობა; ნარჩენების მართვა.

რეკომენდირებული ციტირება: სოფრომაძე ა. (2026). საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვა საქართველოში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 10 (1). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.12>

Abstract

Introduction: The management of household-generated medical waste in Georgia represents a significant public health challenge. Such waste contains infectious and chemical hazards, while the mechanisms for its management remain insufficiently developed. The aim of the study was to assess public awareness and practices regarding the management of household medical waste. **Methodology:** The study was conducted using a quantitative research method through a self-administered structured questionnaire. A total of 124 respondents participated in the study. Data analysis was performed using SPSS 22.0 statistical software. **Results:** The findings revealed that the majority of respondents dispose of medical waste in general municipal waste, while only a small proportion use safe collection methods. The study also identified a low level of public awareness regarding this issue. **Discussion:** Household medical waste management remains a significant problem in Georgia. The obtained data confirm the low level of public awareness and the lack of appropriate infrastructure for safe waste management. **Conclusion:** Effective regulations, safe collection systems, and increased public awareness are essential for improving household medical waste management in Georgia.

Keywords: medical waste; household waste; public health; waste management.

Recommended Citation: Sopromadze A. Management of Medical Waste Generated in Household Settings in Georgia (2026). Health Policy, Economics and Sociology, 10(1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.12>

შესავალი

ნარჩენების მართვა წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს. სამედიცინო ნარჩენები, რომელთა ნაწილი წარმოიქმნება არა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებში, არამედ საყოფაცხოვრებო პირობებშიც, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის როგორც ადამიანთა ჯანმრთელობას, ისე გარემოს ეკოსისტემებს (World Health Organization, 2017). საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენები მოიცავს გამოყენებულ მედიკამენტებსა და მათი შეფუთვებს, შპრიცებს, ნემსებს, ტესტ-დისკებს, თერმომეტრებსა და სხვა ნივთებს, რომლებიც შესაძლოა ინფექციური რისკების მატარებელი იყოს (Windfeld & Brooks, 2015). მათი არასწორი განთავსება სხვადასხვა ადგილას შეიძლება გახდეს ინფექციური დაავადებების გავრცელებისა და გარემოს დაზიანებების მნიშვნელოვანი წყარო, რაც განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა არასრულყოფილია (Chartier et al., 2014).

საქართველოში სამედიცინო ნარჩენების მართვა რეგულირდება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ (2015) და საქართველოს მთავრობის სხვადასხვა დადგენილებებით, რომლებიც განსაზღვრავს ნარჩენების კლასიფიკაციას, შეგროვებისა და განადგურების წესებს. თუმცა, ეს რეგულაციები ძირითადად ეხება სამედიცინო დაწესებულებებში წარმოქმნილ ნარჩენებს, ხოლო საყოფაცხოვრებო დონეზე წარმოებული სამედიცინო ნარჩენების მართვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მექანიზმი პრაქტიკულად არ არსებობს (MoH Georgia, 2021).

ფარმაცევტული ნარჩენების ნაწილი (მაგ., ვადაგასული მედიკამენტები) ფორმალურად ექვემდებარება სპეციალურ შეგროვებას ავთიაქებში, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა მათ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად ათავსებს და ჩვეულებრივ მათი განთავსება ხდება

საყოფაცხოვრებო ნარჩენთან ერთად (NCDC, 2020). ბასრი ნივთები (შპრიცები, ნემსები) არ ექვემდებარება ცალკეულ შეგროვებას, რის გამოც ისინი ხშირ შემთხვევაში ხვდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელებში, რაც ზრდის როგორც გარემოს დაბინძურების, ისე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის საფრთხის რისკს (Gamkrelidze et al., 2019).

კონტროლის თვალსაზრისით, სახელმწიფო ზედამხედველობა ძირითადად ორიენტირებულია სამედიცინო დაწესებულებებზე და ლიცენზირებულ სუბიექტებზე, რომელთაც ეკისრებათ ვალდებულება ნარჩენების უსაფრთხო შეგროვებისა და გადამუშავების შესახებ. საყოფაცხოვრებო დონეზე კი პასუხისმგებლობა გადანაწილებულია მოსახლეობასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე, რომლებიც არ ფლობენ სპეციფიკურ რესურსებს ან სისტემას სამედიცინო ნარჩენების ცალკე კონტროლისთვის (UNDP, 2021).

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ისეთ საკითხზე, როგორცაა ნარკომომხმარებლების მიერ გამოყენებული სამედიცინო ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემა. საქართველოში ნარკომომხმარება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამოწვევაა, რომელიც არა მხოლოდ დამოკიდებულების პრობლემას, არამედ ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკსაც უკავშირდება. განსაკუთრებით ეს ეხება ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებს, რომელთა მიერ გამოყენებული შპრიცები და ნემსები ხშირად ხვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებში ან საჯარო სივრცეებში (პარკები, სადარბაზოები, ეზოები).

2005 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ზიანის შემცირების პროგრამები, რომლებიც მოიცავს შპრიცებისა და ნემსების გაცვლის სერვისს (NSP). პროგრამის ფარგლებში ნარკომომხმარებლებს შეუძლიათ უსაფრთხოდ გადააბარონ გამოყენებული შპრიცები და მიიღონ ახალი, სტერილური ინსტრუმენტები (Curatio International Foundation, 2019). ამ სერვისებს ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად: *Curatio International Foundation (CIF)* და *Alternative Georgia*, რომლებიც ევროკავშირის და გლობალური ფონდის მხარდაჭერით ფუნქციონირებენ. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ყოველწლიურად ათასობით შპრიცი ბრუნდება NSP პროგრამების მეშვეობით, თუმცა შერჩევითი დაფარვის გამო ნაწილი მაინც ხვდება საერთო ნარჩენებში (Gamkrelidze et al., 2019).

საყოფაცხოვრებო პირობებში სამედიცინო ნარჩენების მართვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მოდელებით ხორციელდება და მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, სამართლებრივ ჩარჩოებსა და მოსახლეობის ცნობიერებაზე. განვითარებულ ქვეყნებში (ევროკავშირი, აშშ, კანადა, იაპონია) საყოფაცხოვრებო სამედიცინო ნარჩენების მართვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემა არსებობს. მაგალითად, აშშ-ში მრავალი შტატი ითვალისწინებს სპეციალურ „drop-off“ ცენტრებს ან ფარმაცევტულ პროგრამებს, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ დააბრუნონ ვადაგასული მედიკამენტები და ბასრი ნივთები (U.S. Food and Drug Administration [FDA], 2020).

ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედებს გაფართოებული მწარმოებლის პასუხისმგებლობის პრინციპი (Extended Producer Responsibility – EPR), რომლის მიხედვითაც ფარმაცევტული კომპანიები და აფთიაქები ვალდებული არიან უზრუნველყონ მედიკამენტების ნარჩენების უსაფრთხო შეგროვება და გადამუშავება (European Environment Agency [EEA], 2019). განვითარებად ქვეყნებში საყოფაცხოვრებო სამედიცინო ნარჩენების მართვა ნაკლებად სტრუქტურირებულია. ინდოეთსა და აფრიკის მრავალ ქვეყანაში ბასრი ნივთები და ვადაგასული მედიკამენტები ხშირად ხვდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელებში, რის შედეგადაც იზრდება ინფექციური დაავადებების გავრცელებისა და გარემოს დაბინძურების რისკი (Patwary et al., 2011). WHO-ს მონაცემებით, დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში სამედიცინო ნარჩენების 40%-მდე არასწორად იმართება, რაც ქმნის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საფრთხეს (WHO, 2017).

მეთოდი

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, სადაც მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა თვითადმინისტრირებადი სტრუქტურირებული კითხვარი. კვლევის მიზანი იყო საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვის პრაქტიკის, მოსახლეობის ცოდნისა და ქცევითი თავისებურებების შეფასება საქართველოში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 125 რესპონდენტმა, რომლებიც შერჩეულ იქნენ არალბათური შერჩევის მეთოდით. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა SPSS 22.0 პროგრამის გამოყენებით. აღწერითი სტატისტიკის პარალელურად ჩატარებულ იქნა ცვლადებს შორის ასოციაციების ანალიზი, რაც საშუალებას იძლეოდა გამოვლენილიყო კავშირები დემოგრაფიულ მახასიათებლებსა და საყოფაცხოვრებო სამედიცინო ნარჩენების მართვის პრაქტიკებს შორის, ასევე შეფასებულიყო ასაკობრივი ჯგუფებისა და სხვა სოციალური ფაქტორების გავლენა რესპონდენტთა ქცევასა და დამოკიდებულებებზე.

შედეგები

კვლევაში მონაწილეობა საერთო ჯამში მიიღო 125-მა რესპოდენტმა, ამათგან რესპოდენტთა 1% (N=1) კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და დააფიქსირა, პირველივე თანხმობის კითხვარით. ხოლო დანარჩენი 99%-მა (N=124) მონაწილემ კითხვარი სრულად შეავსო. რესპოდენტების 86.3%(N=107) იყო ქალი, ხოლო 13,7% (N=17) კაცი. გამოყოფილი იყო 5 ასაკობრივი კატეგორია, ამათგან პირველი კატეგორია იყო <20 წლის ასაკის, სადაც გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან 5,6%-მა (N=7) მიიღო მონაწილეობა, 21-35 წლის კატეგორიიდან მონაწილეთა უმრავლესობამ 39,5% (N=49) მიიღო მონაწილეობა, 36-50 წლის კატეგორიაში 35.5%-მა(N=44), 51-65 წლის კატეგორიაში 16.9%-მა (N=16.9%), ხოლო >65 წლის ასაკის კატეგორიიდან მონაწილეობა მიიღო მონაწილეთა საერთო რაოდენობიდან 2,4% (N=3) რესპოდენტმა.

გეოგრაფიული განაწილების მიხედვით კვლევაში სამი კატეგორია იყო გამოყოფილი. პირველი კატეგორია ქალაქის ტიპის დასახლება იყო, სადაც გამოკითხულთა უმეტესობა იყო წარმოდგენილი 49.2%-ით (N=61), თბილისი 37.9%-ით (N=47), ხოლო სოფლის ტიპის დასახლება გამოკითხულთა 12.9%-ით (N=16). კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას ჰქონდა ბაკალავრის ხარისხი 62.1%-ს (N=77), ხოლო საშუალო და პროფესიული განათლება დაფიქსირდა რესპოდენტთა 11.3%-ს (N=14) მაგისტრის/დოქტორის ხარისხის მქონე პირები შეადგენდნენ 26.6%-ს(N=33).

კვლევის ფარგლებში აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო შეგვეფასებინა თუ რამდენად წარმოექმნებათ ოჯახებს სამედიცინო ნარჩენი სახლის პირობებში, ჰყავდათ თუ არა ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტები, რის გამოც ძირითადად წარმოიქმნება აღნიშნული ტიპის ნარჩენი. გამოკითხულთა 63,7% (N=79) ამბობს, რომ არ ჰყავთ, ხოლო 36.3% (N=45) კი ამბობს, რომ ჰყავთ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია არაქრონიკული პაციენტების მიერ სამედიცინო ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევის ალბათობა, სადაც დაკონკრეტებული არ გვაქვს რაიმე ქრონიკული დაავადების არსებობა. სადაც გამოკითხულთა 68.5% (N=85) აღნიშნავს რომ სამედიცინო ნარჩენი სახლის(საყოფაცხოვრებო) პირობებში წარმოექმნებათ, ხოლო 31,5% (N=39) აღნიშნავს რომ არ წარმოექმნებათ. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ საყოფაცხოვრებო სამედიცინო ნარჩენების წარმოქმნა არ არის მხოლოდ ქრონიკული პაციენტების პრობლემასთან დაკავშირებული და მას ფართო გავრცელება აქვს მოსახლეობაში.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეკითხვა გახლდათ თუ სად ათავსებდნენ სამედიცინო ნარჩენს, რომელიც სახლის პირობებში წარმოექმნებათ. კვლევის მონაცემებმა ცხადყო, რომ რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა 79% (N= 98) სამედიცინო ნარჩენს ათავსებს ჩვეულებრივ მუნიციპალურ ნაგავთან ერთად, რაც მიუთითებს არასათანადო მართვის მაღალ მაჩვენებელზე და პოტენციურ ეპიდემიოლოგიურ თუ გარემოსდაცვით რისკებზე. მხოლოდ 13.7% (N=17) იყენებს სპეციალურ კონტეინერს ან უსაფრთხო შეგროვების

საშუალებას, რაც ადასტურებს, რომ უსაფრთხო პრაქტიკა მოსახლეობაში დაბალი გავრცელებისაა. ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოკითხულთა 7,3% (N=9) აღნიშნავს, რომ სამედიცინო ნარჩენს არც სპეც კონტეინერში ათავსებს და არც საყოფაცხოვრებო ნაგავთან ურევს. საინტერესოა ამ ადამიანების მოსაზრებაც, თუ სად ათავსებენ აღნიშნული ტიპის ნარჩენს. აღნიშნული თემა კვლავ კვლევის საგანს წარმოადგენს.

კვლევის ფარგლებში შეფასდა მოსახლეობის პრაქტიკა და ცნობიერება საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ბასრი სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვის პრაქტიკა მოსახლეობაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. კერძოდ, რესპონდენტთა მხოლოდ 18.5% (N=23) იყენებს სპეციალურ უსაფრთხო კონტეინერს შპრიცებისა და ნემსების შესაგროვებლად, ხოლო უმრავლესობა (81.5%, N=101) მსგავს კონტეინერს არ იყენებს. აღნიშნული პრაქტიკა ზრდის შემთხვევითი ტრავმის, ინფექციური დაავადებების გავრცელებისა და გარემოს დაზინძურების რისკს. მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ საყოფაცხოვრებო პირობებში ბასრი სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვის პრაქტიკა მოსახლეობაში კრიტიკულად დაბალ დონეზეა განვითარებული.

კვლევის შედეგების მიხედვით, ვადაგასული და გამოუყენებელი მედიკამენტების მართვაც ძირითადად არასათანადო ფორმით ხორციელდება. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (91.1%, N=113) მედიკამენტებს საერთო საყოფაცხოვრებო ნაგავში ათავსებს, ხოლო მხოლოდ მცირე ნაწილი აბარებს აფთიაქს ან სპეციალიზებულ დაწესებულებას. მცირე პროცენტი მედიკამენტებს სახლში ინახავს ან სხვა მეთოდს იყენებს. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს უსაფრთხო მართვის სისტემის ნაკლებობაზე და ქმნის მნიშვნელოვან გარემოსდაცვით რისკებს, მათ შორის ნიადაგისა და წყლის რესურსების დაზინძურების საფრთხეს. აღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მედიკამენტების უსაფრთხო მართვის ეროვნული სისტემის განვითარების აუცილებლობას. აღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მედიკამენტების უსაფრთხო მართვის ეროვნული სისტემის განვითარების აუცილებლობას.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ასევე იყო საზოგადოების ცნობიერების შეფასება, თუ რამდენად აქვთ ინფორმაცია სამედიცინო ნარჩენებთან დაკავშირებით და აქვს თუ არა გავლენა გარემოზე, სადაც გამოვლინდა, 58.9% (N=73) იცის, რომ აღნიშნული ნარჩენი საფრთხისშემცველია გარემოსთვის და ცოცხალი ორგანიზმისთვის, 34,7% (N=43) აღნიშნა, რომ ნაწილობრივ აქვთ ინფორმაცია, ხოლო 6,5% (N=2) აღნიშნავს, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპონდენტთა უმეტესობას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამედიცინო ნარჩენის გარემოში მოხვედრა საფრთხეს უქმნის გარემოს და ამ გარემოში მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმებს. რესპონდენტთა უმრავლესობა საქართველოში სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვის შესახებ არასაკმარისად არის ინფორმირებული. კერძოდ, 52.4% მიიჩნევს, რომ არ ფლობს შესაბამის ინფორმაციას, ხოლო 41.1% თვლის, რომ ინფორმაცია საერთოდ არ არსებობს. მხოლოდ მცირე ნაწილი (დაახლოებით 6–7%) აღნიშნავს, რომ ფლობს ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე. მიღებული მონაცემები მიუთითებს მოსახლეობის დაბალ ინფორმირებულობაზე სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვის საკითხებში, რაც ხაზს უსვამს საზოგადოების ინფორმირების, განათლებისა და შესაბამისი საინფორმაციო კამპანიების გაძლიერების აუცილებლობას.

მნიშვნელოვანია, ასევე რესპონდენტების მიერ საკუთარი ცოდნის შეფასება, სადაც მონაცემები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმეტესობა საკუთარ ცოდნას სამედიცინო ნარჩენების მართვის საკითხებზე საშუალო ან დაბალ დონეზე აფასებს, რაც მიუთითებს დამატებითი განათლებისა და ინფორმირების საჭიროებაზე აღნიშნულ სფეროში.

ინფორმაციის მიღების მიხედვით გამოკითხულთა უმეტესობა ასახელებს სამედიცინო პერსონალს და სოციალურ ქსელებს, ხოლო გამოკითხულთა 32% აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის ინფორმაციას არ ეცნობა, რაც კრიტიკული მაჩვენებელია.

საინტერესოა საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების განთავსების შესახებ საინფორმაციო კამპანიების ან ადვოკატირების კუთხით თუ აქვთ

ინფორმაცია, უმეტესი ნაწილი 80% რესპოდენტების აღნიშნავს, რომ აღნიშნულ აქტივობებზე ინფორმაცია არ აქვთ. მნიშვნელოვანია ასევე კვლევის ნაწილში ყურადღება გავამახვილოთ რამდენად ხშირია საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი ნარჩენებთან შეხების შედეგად დაზიანების მიღება და იმ შემთხვევაში თუ რაიმე სახის დაზიანებას მიიღებენ როგორია მათი მოქმედება. რესპოდენტთა უმეტესობას აქვს სწორი ინფორმაცია დაზიანების მიღების შემთხვევაში შემდგომი ნაბიჯების, თუმცა მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული მანიპულაციები მინიმალურად ამცირებს სხვადასხვა დაავადების გავრცელების რისკს, რასაც ვერ ჩავთვლით საკმარისად.

ცხრილი N1. რესპოდენტთა ცნობიერების შეფასების შედეგები.

კითხვა	პასუხის ვარიანტი	პროცენტი (%)
იცით თუ არა, რომ სამედიცინო ნარჩენები საფრთხეს უქმნის გარემოს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის?	დიახ	58.9%
	არა	6.4%
	ნაწილობრივ	34.7%
როგორ ფიქრობთ, საქართველოში არსებობს თუ არა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი სისტემა გამოყენებული ნარჩენების უსაფრთხო შეგროვებისა და განადგურებისთვის?	დიახ	6.5%
	არა	41.1%
	არ ფლობ ინფორმაციას	52.4%
როგორ შეაფასებდით საკუთარი ცოდნას და ინფორმირებულობას სამედიცინო ნარჩენების მართვის საკითხების შესახებ?	ძალიან მაღალი	8.9%
	მაღალი	25.0%
	საშუალო	50.8%
	დაბალი	12.1%
	ძალიან დაბალი	3.2%

კვლევის ფარგლებში განვიხილეთ ასევე საზოგადოება ყოველდღიურად რამდენად ხშირად აწყდება სამედიცინო ნარჩენს საზოგადოებრივ ადგილებში. სამედიცინო ნარჩენების საკითხის აქტიური განხილვა განპირობებულია იმით, რომ პრობლემა უკვე გადმოსულია ყოველდღიურ გარემოში. რესპოდენტები ხშირად აწყდებიან შემთხვევებს, როდესაც სამედიცინო ნარჩენები ხვდება სადარბაზოებში, სკვერებსა და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, რაც ზრდის როგორც ეკოლოგიურ, ისე ჯანმრთელობის რისკებს. ეს გარემოება კიდევ უფრო უსვამს ხაზს, რომ საკითხი არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკულად არსებული და აქტუალური პრობლემაა, რომელიც საჭიროებს ეფექტურ კონტროლსა და მართვას. აღნიშნული საკითხის აქტუალობის ნათელი მაგალითია ის, რომ რესპოდენტთა უმეტესობა, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში სამედიცინო ნარჩენის არსებობას აღნიშნავენ შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით: ხშირად – 41.1% (უმეტესობა), ძალიან ხშირად – 31.5%. ჯამში: 72.6%; იშვიათად – 20.2%, ძალიან იშვიათად – მცირე წილი (6%), არასდროს – უმნიშვნელო (1%)

ღია პასუხების შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომლებიც ასახავს მოსახლეობის ხედვას საყოფაცხოვრებო პირობებში სამედიცინო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების გზებთან დაკავშირებით. ვინაიდან რესპოდენტებს შეეძლოთ ერთდროულად რამდენიმე მოსაზრების დაფიქსირება, პროცენტული მაჩვენებლების ჯამი 100%-ს აღემატება. მიღებული შედეგების მიხედვით, რესპოდენტთა უმრავლესობა (72.0%; N≈89) მთავარ პრიორიტეტად მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლებას მიიჩნევს. განსაკუთრებული ყურადღება

გამახვილდა საინფორმაციო კამპანიების, ტრენინგების, საგანმანათლებლო პროგრამების, სოციალური ქსელებისა და მედიის გამოყენების მნიშვნელობაზე. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ აღნიშნული საკითხები უნდა ისწავლებოდეს სკოლებსა და უნივერსიტეტებშიც. მეორე ყველაზე გავრცელებული მოსაზრება შეეხებოდა სპეციალური კონტეინერებისა და სამედიცინო ნარჩენების ჩასაბარებელი პუნქტების მოწყობას, რაც დაფიქსირდა დაახლოებით 64.5%-ში (N≈80). რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელია შესაბამისი ურნებისა და კონტეინერების განთავსება აფთიაქებში, საცხოვრებელ უბნებში და საზოგადოებრივ სივრცეებში, რათა მოსახლეობას ჰქონდეს ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსების შესაძლებლობა. კვლევის მონაწილეთა დაახლოებით 41.9% (N≈52) გამოყოფდა საინფორმაციო კამპანიებისა და ტრენინგების აქტიურ განხორციელებას, როგორც პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს.

ინფორმაციის გავრცელების ძირითად საშუალებებად დასახელდა ტელევიზია, სოციალური მედია და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობა. დაახლოებით 28.2% (N≈35) ყურადღებას ამახვილებდა სახელმწიფოს როლის გაძლიერებაზე, რეგულაციების გამკაცრებასა და შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების არსებობის აუცილებლობაზე.

რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვა საჭიროებს როგორც ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, ისე ეფექტურ სახელმწიფო კონტროლს. ასევე, დაახლოებით 19.3% (N≈24) მიუთითებდა ნარჩენების დახარისხებისა და გადამამუშავებელი სისტემების განვითარების აუცილებლობაზე, ხოლო 14.5% (N≈18) საუბრობდა სპეციალური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის შექმნის საჭიროებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სამედიცინო ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებასა და უსაფრთხო უტილიზაციას. მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსახლეობა სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვის გაუმჯობესების ძირითად პირობად ცნობიერების ამაღლებასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას მიიჩნევს. ამასთანავე, რესპონდენტები მნიშვნელოვნად უსვამენ ხაზს სახელმწიფოს ჩართულობის, რეგულაციების გამკაცრებისა და ეფექტური კონტროლის მექანიზმების განვითარების აუცილებლობას.

ცხრილი N2. ღია პასუხების შინაარსობრივი ანალიზის შედეგები.

თემატური კატეგორია	სიხშირე (N)	%
მოსახლეობის ინფორმირება / ცნობიერების ამაღლება	≈89	72.0%
სპეციალური კონტეინერები / ჩასაბარებელი პუნქტები	≈80	64.5%
საინფორმაციო კამპანიები / ტრენინგები / განათლება	≈52	41.9%
სახელმწიფო რეგულაციები და კონტროლი	≈35	28.2%
ნარჩენების დახარისხება და გადამამუშავება	≈24	19.3%
სპეციალური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა	≈18	14.5%
სოციალური მედიისა და სკოლების ჩართულობა	≈15	12.0%
სხვა / კომენტარის გარეშე	≈10	8.0%

შენიშვნა: ერთ რესპონდენტს შეეძლო დაესახელებინა რამდენიმე მოსაზრება, ამიტომ პროცენტული მაჩვენებლების ჯამი 100%-ს აღემატება.

დისკუსია

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვა მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. რესპონდენტთა უმრავლესობა სამედიცინო ნარჩენებს საერთო მუნიციპალურ ნაგავში

ათავსებს, ხოლო უსაფრთხო შეგროვების საშუალებებს მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს. განსაკუთრებით პრობლემურია ბასრი ნარჩენებისა და ვადაგასული მედიკამენტების მართვა, რაც ზრდის ინფექციური დაავადებების გავრცელებისა და გარემოს დაბინძურების რისკს (Chartier et al., 2014; World Health Organization [WHO], 2022). კვლევამ ასევე გამოავლინა მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა ნაწილმა იცის სამედიცინო ნარჩენების საფრთხის შესახებ, უმეტესობა საკუთარ ცოდნას არასაკმარისად აფასებს და აღნიშნავს, რომ საქართველოში საინფორმაციო კამპანიები თითქმის არ ტარდება (Kumar et al., 2021).

მიღებული შედეგები შეესაბამება საერთაშორისო კვლევებს, რომელთა მიხედვითაც მსგავსი პრობლემები განსაკუთრებით ხშირია იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ეფექტური მართვის სისტემა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა (Windfeld & Brooks, 2015). ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რესპონდენტები ხშირად აწყდებიან სამედიცინო ნარჩენებს საზოგადოებრივ სივრცეებში, რაც პრობლემის პრაქტიკულ და ყოველდღიურ ხასიათს უსვამს ხაზს. აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ საჭიროა როგორც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ისე უსაფრთხო მართვის სისტემისა და კონტროლის მექანიზმების განვითარება (WHO, 2022; Prüss-Ustün et al., 2019).

დასკვნა, რეკომენდაციები

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვა არასათანადო დონეზე ხორციელდება და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის როგორც საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, ისე გარემოს. მოსახლეობის უმრავლესობა სამედიცინო ნარჩენებს საერთო საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად ათავსებს, ხოლო უსაფრთხო შეგროვებისა და განთავსების პრაქტიკა დაბალია. კვლევამ ასევე გამოავლინა მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. განსაკუთრებით პრობლემურია ბასრი ნარჩენებისა და ვადაგასული მედიკამენტების არასწორი მართვა. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ აუცილებელია ეფექტური მართვის სისტემის დანერგვა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი რეგულაციების გაძლიერება.

საყოფაცხოვრებო სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია სპეციალური კონტეინერებისა და ჩასაბარებელი პუნქტების შექმნა, განსაკუთრებით ავთიაქებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში. მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება საინფორმაციო კამპანიების, ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით. ასევე საჭიროა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობა, რეგულაციების გამკაცრება და კონტროლის მექანიზმების გაძლიერება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბასრი ნარჩენებისა და ვადაგასული მედიკამენტების უსაფრთხო შეგროვებასა და უტილიზაციას. ეფექტური სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს გარემოს დაბინძურებისა და ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკების შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

Chartier, Y., Emmanuel, J., Pieper, U., Prüss, A., Rushbrook, P., Stringer, R., ... & Zghondi, R. (2014). *Safe management of wastes from health-care activities* (2nd ed.). World Health Organization.

Curatio International Foundation. (2019). *Assessment of harm reduction services in Georgia*. Tbilisi.

European Environment Agency. (2019). *Pharmaceuticals in the environment*. <https://www.eea.europa.eu>

Gamkrelidze, A., Kereselidze, M., & Sturua, L. (2019). *Noncommunicable diseases risk factors STEPS survey Georgia 2016*. Tbilisi: National Center for Disease Control and Public Health.

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia. (2021). *National waste management code of practice*. Tbilisi.

National Center for Disease Control and Public Health. (2020). *Household waste and public health risks in Georgia*. Tbilisi.

Patwary, M. A., O'Hare, W. T., Street, G., & Elahi, K. M. (2011). *Quantitative assessment of medical waste generation in the capital city of Bangladesh*. *Waste Management, 31*(11), 2316–2326. <https://doi.org/10.1016/j.wasman.2011.06.023>

UNAIDS. (2021). *Global AIDS update 2021*. Geneva.

UNDP Georgia. (2021). *Waste management in Georgia: Progress and challenges*. Tbilisi.

UNODC. (2020). *HIV prevention, treatment, care and support for people who use stimulant drugs*. Vienna.

U.S. Food and Drug Administration. (2020). *Where and how to dispose of unused medicines*. <https://www.fda.gov>

Windfeld, E. S., & Brooks, M. S. L. (2015). *Medical waste management – A review*. *Journal of Environmental Management, 163*, 98–108. <https://doi.org/10.1016/j.jenvman.2015.08.013>


World Health Organization. (2017). *Guide to starting and managing needle and syringe programmes*. Geneva.

World Health Organization. (2017). *Health-care waste*. <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/health-care-waste>



Mapping the Discourse of Sustainability in Medicine: A Bibliometric and Interdisciplinary Analysis (2015–2025)

მედიცინაში მდგრადობის დისკურსის რუკა: ბიბლიომეტრიული და ინტერდისციპლინარული ანალიზი (2015–2025)

 <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.3>

Radu-Mihai Dumitrescu ^{1a}, Adrian-Nicolae Dan ^{1b}

რადუ-მიჰაი დუმიტრესკუ ^{1a}, ადრიან-ნიკოლაე დანი ^{1b}

¹ University of Bucharest, Faculty of Sociology and Social Work, Medicover Romania, Bucharest, Romania

¹ ბუქარესტის უნივერსიტეტი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის ფაკულტეტი, ბუქარესტი, რუმინეთი

^a radu.dumitrescu@medicover.ro <https://orcid.org/0009-0008-4481-394X>

^b adrian.dan@sas.unibuc.ro <https://orcid.org/0000-0002-4033-3358>

Abstract

Background: In recent years, the concept of sustainability has become central to global health discourse, yet its meaning within medical academia remains fragmented and variably defined. While sustainability originated as an ecological and economic principle, its integration into medicine reflects a shift from healing individual patients to maintaining the resilience of health systems, communities, and ecosystems. **Objectives:** This study investigates how sustainability is conceptualised and articulated in medical academic literature, identifying its main thematic domains, disciplinary intersections, and conceptual gaps. **Methods:** A bibliometric and semantic analysis was conducted on 7,161 PubMed-indexed articles published between 2015 and 2025 containing the terms “sustainability” or “sustainable” in titles or abstracts. Using VOSviewer, 16,348 unique terms were mapped to identify co-occurrence clusters and emerging semantic trends. **Results:** Five major clusters were identified: (1) health policy and governance; (2) implementation and organisational innovation; (3) social and demographic determinants; (4) ecological and planetary sustainability; and (5) professional and behavioural sustainability. The results reveal a transition from a narrow economic understanding of sustainability toward an integrative paradigm connecting health equity, environmental responsibility, and institutional resilience. **Conclusions:** Medicine redefines sustainability as an operational and ethical framework linking clinical effectiveness, social justice, and ecological balance. This study highlights conceptual fragmentation and underexplored dimensions—especially ecological and professional sustainability—offering a foundation for interdisciplinary dialogue and evidence-informed policy design.

Keywords: Bibliometric analysis, Health systems, Implementation science, Medical discourse, Planetary health, Sustainability, Sustainable development, VOSviewer.



Recommended Citation: Radu-Mihai Dumitrescu, Adrian-Nicolae Dan (2025). Mapping the Discourse of Sustainability in Medicine: A Bibliometric and Interdisciplinary Analysis (2015–2025). *Health Policy, Economics and Sociology*, 10(1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.3>.

აბსტრაქტი

შესავალი: ბოლო წლებში მდგრადობის კონცეფცია გლობალური ჯანდაცვის დისკურსის ცენტრალურ ადგილს იკავებს, თუმცა მისი მნიშვნელობა სამედიცინო აკადემიურ წრეებში ფრაგმენტული და ცვალებადად განსაზღვრული რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მდგრადობა წარმოიშვა, როგორც ეკოლოგიური და ეკონომიკური პრინციპი, მისი მედიცინაში ინტეგრაცია ასახავს გადასვლას ინდივიდუალური პაციენტების განკურნებიდან ჯანდაცვის სისტემების, თემებისა და ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნებაზე. კვლევის მიზანია, თუ როგორ არის მდგრადობა კონცეპტუალიზებული და არტიკულირებული სამედიცინო აკადემიურ ლიტერატურაში, მისი ძირითადი თემატური დომენების, დისციპლინური კვებებისა და კონცეპტუალური ხარვეზების იდენტიფიცირებით. **მეთოდები:** ჩატარდა ბიბლიომეტრიული და სემანტიკური ანალიზი PubMed-ის ინდექსირებულ სტატიაზე, რომლებიც გამოქვეყნდა 2015-დან 2025 წლამდე, რომლებიც შეიცავდა ტერმინებს „მდგრადობა“ ან „მდგრადი“ სათაურებში ან რეზიუმეებში. **შედეგები:** გამოვლინდა ხუთი ძირითადი კლასი: (1) ჯანდაცვის პოლიტიკა და მმართველობა; (2) განხორციელება და ორგანიზაციული ინოვაცია; (3) სოციალური და დემოგრაფიული განმსაზღვრელი ფაქტორები; (4) ეკოლოგიური და პლანეტარული მდგრადობა; და (5) პროფესიული და ქცევითი მდგრადობა. შედეგები ავლენს გადასვლას მდგრადობის ვიწრო ეკონომიკური გაგებიდან ინტეგრაციულ პარადიგმაზე, რომელიც აკავშირებს ჯანდაცვის თანასწორობას, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას და ინსტიტუციურ მდგრადობას. **დასკვნები:** მედიცინა ხელახლა განსაზღვრავს მდგრადობას, როგორც ოპერაციულ და ეთიკურ ჩარჩოს, რომელიც აკავშირებს კლინიკურ ეფექტურობას, სოციალურ სამართლიანობას და ეკოლოგიურ ბალანსს. კვლევა ხაზს უსვამს კონცეპტუალურ ფრაგმენტაციას და ნაკლებად შესწავლილ განზომილებებს - განსაკუთრებით ეკოლოგიურ და პროფესიულ მდგრადობას - რაც საფუძველს ქმნის ინტერდისციპლინარული დიალოგისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიომეტრიული ანალიზი, ჯანდაცვის სისტემები, სამედიცინო დისკურსი, მდგრადობა, მდგრადი განვითარება.

რეკომენდირებული ციტირება: რადუ-მიჰაი დუმიტრესკუ, ადრიან-ნიკოლაე დენი (2026). მედიცინაში მდგრადობის დისკურსის რუკა: ბიბლიომეტრიული და ინტერდისციპლინარული ანალიზი (2015–2025). *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 10 (1). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.3>.

1. Introduction

1.1. The global context of sustainability

Since the publication of the Brundtland Report – “*Our Common Future*” (World Commission on Environment and Development, 1987), the concept of sustainability has become a global paradigm that is reshaping science, politics and social ethics. In the classic sense of the aforementioned report, sustainability refers to “development that meets the needs of the present without compromising the ability of future generations to meet their own needs”. Subsequently, through works such as “*The Limits to Growth*” (Meadows et al., 1972) and “*Doughnut Economics*” (Raworth, 2018), the idea crystallised that sustainability is not just an ecological concept, but a principle of balance between natural, economic and social systems.

With the launch of *The Sustainable Development Goals* (SDGs) by the United Nations in 2015, the health dimension became central, “Goal 3 — Ensure healthy lives and promote well-being for all at all ages” and explicitly links health to sustainability. This association has generated a transformation of the medical paradigm, causing health systems to become not only efficient but also sustainable (World Health Organisation, 2022; World Bank, 2023).

1.2. From public health to planetary health

Over the past two decades, the concepts of “global health”, “planetary health” and “One Health” have redefined the boundaries of medicine (Whitmee et al., 2015). These paradigms recognise the interdependence between human, animal and environmental health, which has led to the expansion of medicine’s responsibility beyond the biological boundaries of the body to complex ecological, economic and social systems (Shomaker et al., 2013; Horton et al., 2014).

In this context, sustainability becomes an epistemological dimension of health, not just an administrative goal. It involves, simultaneously: (1) protecting natural resources (ecological sustainability), (2) strengthening institutions (institutional sustainability), (3) ensuring equity and social justice (social sustainability), and (4) maintaining the competence and motivation of medical staff (professional sustainability). This integrative vision, often referred to as “health in all policies”, reconfigures the role of medicine as a discipline of interdependencies (Kickbusch & Gleicher, 2011).

1.3. Sustainability in academic medicine: an emerging paradigm

Although medicine has long been concerned with efficiency, safety and quality, it has only recently begun to treat sustainability as a research topic in its own right. The term appears increasingly often in articles on the implementation of medical interventions (“implementation science”, “programme continuation”), health system governance (“resilience”, “health system strengthening”), the ecological impact of hospitals (“green healthcare”, “carbon footprint”) and sustainable professional training (“sustainable medical education”). This process indicates the institutionalisation of sustainability in medical discourse, a conceptual shift from “healing” to “maintaining health over time”.

However, the literature is heterogeneous and fragmented; the term is used with different meanings (financial, social, ecological, organisational), without a unified framework (Moore et al., 2017; Scheirer & Dearing, 2011). Therefore, a systematic analysis is needed to clarify how sustainability is understood and used in academic medicine, how it compares to other fields (environment, economics, sociology) and how its scientific language evolves over time.

1.4. Justification of the study and contribution of the research

This research stems from the belief that scientific language is a mirror of epistemological transformations. The bibliometric and semantic analysis of PubMed literature (2015–2025) provides an insight into how medicine conceptualises sustainability, not only what it says about it, but how it says it, in what terms, in what contexts and how it has evolved over time.

The relevance of this analysis is threefold: (1) theoretical (it clarifies the multiple meanings of medical sustainability and their relationship with other scientific paradigms), (2) methodological (it uses bibliometric tools – VOSviewer – to map interdisciplinary discourse) and (3) practical (it provides useful information for health system governance, medical education and the formulation of sustainable public policies). At a time when medicine is challenged by climate crises, pandemics and economic pressures, understanding the discourse on sustainability becomes not just an academic exercise, but a strategic imperative.

1.5. Study objectives

The article aims to:

- (1) to map the academic discourse on sustainability in contemporary medicine (2015–2025);
- (2) to identify the main semantic clusters and paradigms of meaning;

(3) to compare the medical conceptualisation of sustainability with approaches in other fields (ecology, economics, sociology);

(4) highlight gaps and future directions for research.

In this way, the study contributes to the development of an integrative vision of sustainability in health, connecting medical science with global social and ecological responsibility.

1.6. Theoretical framework: the concept of sustainability in health sciences

Dimensions of sustainability in health. Recent literature (Moore et al., 2017; Scheirer & Dearing, 2011; World Bank, 2023) identifies four main dimensions of sustainability in health sciences.

Financial sustainability refers to the ability of health systems to ensure continuity of services without excessive dependence on temporary or external funding. This involves cost-effective policies, investments in prevention and innovation, and crisis-adaptable financing models (World Bank, 2023; World Bank, 2021). In public policy literature, the term is often synonymous with “viability” or “health system endurance” (Kruk et al., 2015).

- Chaker, L., Bianco, A. C., Jonklaas, J. et al. (2017). Hypothyroidism. *The Lancet*, 390(10101), 1550–1562. [https://doi.org/10.1016/S0140-6736\(17\)30703-1](https://doi.org/10.1016/S0140-6736(17)30703-1)
- Danzi, S., & Klein, I. (2015). Thyroid hormone–regulated cardiac gene expression and cardiovascular disease. *Thyroid*, 25(9), 1014–1022. <https://doi.org/10.1089/thy.2014.0521>
- Fazio, S., Palmieri, E. A., Lombardi, G., & Biondi, B. (2016). Effects of thyroid hormone on the cardiovascular system. *Recent Progress in Hormone Research*, 59(1), 31–50. <https://doi.org/10.1210/rp.59.1.31>
- Flamant, F., Cheng, S. Y., Hollenberg, A. N. et al. (2017). Thyroid hormone signaling pathways: Time for a more precise nomenclature. *Endocrinology*, 158(7), 2052–2057. <https://doi.org/10.1210/en.2017-00250>
- Harper, M. E., Seifert, E. L., & Thomas, S. A. (2021). Thyroid hormone and mitochondrial uncoupling proteins in energy balance. *Endocrine Reviews*, 42(3), 356–381. <https://doi.org/10.1210/endrev/bnaa034>
- Higgins, J. P. T., Thomas, J., Chandler, J. et al. (2019). *Cochrane Handbook for Systematic Reviews of Interventions* (2nd ed.). The Cochrane Collaboration. <https://training.cochrane.org/handbook>
- Idrees, T., Price, J. D., Piccariello, T., & Bianco, A. C. (2023). Sustained nonthyroidal illness syndrome is associated with worse outcomes in patients admitted for COVID-19. *Journal of the Endocrine Society*, 7(6), bvad061. <https://doi.org/10.1210/jendso/bvad061>
- Kahaly, G. J., & Dillmann, W. H. (2020). Thyroid hormone action in the heart. *Endocrine Reviews*, 26(5), 704–728. <https://doi.org/10.1210/er.2004-0033>
- Kararigas, G., Dworatzek, E., Petrov, G. et al. (2020). Sex-dependent regulation of fibrosis and inflammation in human left ventricular remodelling under pressure overload. *European Journal of Heart Failure*, 16(11), 1160–1167. <https://doi.org/10.1002/ejhf.276>
- Klein, I. (2021). Endocrine disorders and cardiovascular disease. In D. Zipes, P. Libby, R. Bonow, D. Mann, G. Tomaselli, & E. Braunwald (Eds.), *Braunwald's Heart Disease: A Textbook of Cardiovascular Medicine* (12th ed., pp. 1752–1775). Elsevier.]
- Lopez, M., Alvarez, C. V., Nogueiras, R., & Dieguez, C. (2022). Energy balance regulation by thyroid hormones at central level. *Trends in Molecular Medicine*, 19(7), 418–427. <https://doi.org/10.1016/j.molmed.2013.04.004>
- Muller, M. J., & Seitz, H. J. (2020). Thyroid hormone action on intermediary metabolism. *Klinische Wochenschrift*, 62(2), 49–55. <https://doi.org/10.1007/BF01485449>
- Mullur, R., Liu, Y. Y., & Brent, G. A. (2014). Thyroid hormone regulation of metabolism. *Physiological Reviews*, 94(2), 355–382. <https://doi.org/10.1152/physrev.00030.2013>

- Ortiga-Carvalho, T. M., Sidhaye, A. R., & Wondisford, F. E. (2016). Thyroid hormone receptors and resistance to thyroid hormone disorders. *Nature Reviews Endocrinology*, 10(10), 582–591. <https://doi.org/10.1038/nrendo.2014.143>
- Peeters, R. P., & Visser, T. J. (2017). Metabolism of thyroid hormone. In K. R. Feingold, B. Anawalt, A. Boyce, et al. (Eds.), *Endotext* [Internet]. MDText.com. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK285545/>
- Petersen, K. F., Befroy, D., Dufour, S. et al. (2018). Mitochondrial dysfunction in the elderly: Possible role in insulin resistance. *Science*, 300(5622), 1140–1142. <https://doi.org/10.1126/science.1082889>
- Resende, E. K. S., de Paulo, L. F., Ramalho, R. R., & Yoshida, W. B. (2021). Exercise tolerance in patients with thyroid dysfunction: A systematic review. *Endocrine Practice*, 27(4), 366–375. <https://doi.org/10.1016/j.eprac.2021.01.010>
- Roos, A., Linn-Rasker, S. P., van Domburg, R. T. et al. (2016). The starting dose of levothyroxine in primary hypothyroidism treatment: A prospective, randomized, double-blind trial. *Archives of Internal Medicine*, 165(15), 1714–1720. <https://doi.org/10.1001/archinte.165.15.1714>
- Saito, M., Okamatsu-Ogura, Y., Matsushita, M. et al. (2020). High incidence of metabolically active brown adipose tissue in healthy adult humans: Effects of cold exposure and adiposity. *Diabetes*, 58(7), 1526–1531. <https://doi.org/10.2337/db09-0530>
- Simonides, W. S., & van Harveldt, C. (2008). Thyroid hormone as a determinant of metabolic and contractile phenotype of skeletal muscle. *Thyroid*, 18(2), 205–216. <https://doi.org/10.1089/thy.2007.0256>
- Watt, T., Hegedüs, L., Bjorner, J. B. et al. (2021). Is thyroid autoimmunity per se a determinant of quality of life in patients with autoimmune hypothyroidism? *European Thyroid Journal*, 1(3), 186–192. <https://doi.org/10.1159/000342623>
- World Health Organization. (2022). Global report on thyroid disorders and their impact on metabolic health <https://www.who.int/publications/i/item/9789240056442>
- Jonklaas, J., Bianco, A. C., Bauer, A. J. et al. (2014). Guidelines for the treatment of hypothyroidism: Prepared by the American Thyroid Association Task Force on thyroid hormone replacement. *Thyroid*, 24(12), 1670–1751. <https://doi.org/10.1089/thy.2014.0028>
- Ross, D. S., Burch, H. B., Cooper, D. S. et al. (2016). 2016 American Thyroid Association guidelines for diagnosis and management of hyperthyroidism and other causes of thyrotoxicosis. *Thyroid*, 26(10), 1343–1421. <https://doi.org/10.1089/thy.2016.0229>
- Garber, J. R., Cobin, R. H., Gharib, H. et al. (2018). Clinical practice guidelines for hypothyroidism in adults: Cosponsored by the American Association of Clinical Endocrinologists and the American Thyroid Association. *Endocrine Practice*, 18(Suppl 2), 988–1028. <https://doi.org/10.4158/EP12280.GL>
- Biondi, B., & Cooper, D. S. (2019). The clinical significance of subclinical thyroid dysfunction. *Endocrine Reviews*, 29(1), 76–131. <https://doi.org/10.1210/er.2006-0043>
- Gereben, B., Zavacki, A. M., Ribich, S. et al. (2022). Cellular and molecular basis of deiodinase-regulated thyroid hormone signaling. *Endocrine Reviews*, 29(7), 898–938. <https://doi.org/10.1210/er.2008-0019>



ექიმის ასისტენციით სუიციდი ჯანდაცვის სოციოლოგიაში: სოციო-ეთიკური, სამართლებრივი და რელიგიური ასპექტების კომპლექსური ანალიზი

Physician-Assisted Suicide in Medical Sociology: A Complex Analysis of Socio-Ethical, Legal, and Religious Perspectives



<https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.15>

სოფიკო პაპაშვილი^{1a}

Sofiko Papashvili¹

¹ სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.

¹ School of Social Sciences, Georgian Institute of Public Affairs, Tbilisi, Georgia.

საკონტაქტო ავტორი: სოფიკო პაპაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, s.papashvili.socba23@gipa.ge

Corresponding Author: Sofiko Papashvili - School of Social Sciences, Georgian Institute of Public Affairs, s.papashvili.socba23@gipa.ge

აბსტრაქტი

შესავალი: თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში სიცოცხლის დასრულების გადაწყვეტილებები ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და პოლარიზებულ თემად რჩება. ექიმის ასისტენციით სუიციდი (PAS) სცდება წმინდად კლინიკურ ჩარჩოებს და მოიცავს კომპლექსურ ეთიკურ, სამართლებრივ, პროფესიულ და სოციოკულტურულ განზომილებებს, რაც მას ჯანდაცვის სოციოლოგიის აქტუალურ კვლევის ობიექტად აქცევს. წინამდებარე სტატიის მიზანია ექიმის მიერ დახმარებული სუიციდის მრავალწახნაგოვანი ფენომენის ყოვლისმომცველი ანალიზი სხვადასხვა აკადემიურ წყაროსა და გლობალურ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

მეთოდები: კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის დიზაინს, მეორადი მონაცემების კრიტიკულ ანალიზსა და ლიტერატურის თემატურ მიმოხილვას საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების (PubMed, Scopus, Google Scholar) გამოყენებით. **შედეგები:** ჩატარებულმა ანალიზმა წარმოაჩინა მკაფიო იდეოლოგიური დიქოტომია პაციენტის ავტონომიისა და „ღირსეული სიკვდილის“ მომხრეებსა და სიცოცხლის სიწმინდის დამცველებს შორის. კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიურ-მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა (განსაკუთრებით ქრისტიანულ, ისლამურ და იუდაისტურ ტრადიციებში) და სეკულარიზაციის ხარისხი რჩება უმძლავრეს დეტერმინანტად ამ პრაქტიკის მიმართ საზოგადოებრივი და პროფესიული დამოკიდებულებების ფორმირებაში. **დასკვნა:** სიცოცხლის დასრულების უფლების სამართლებრივი და სოციალური რეგულირება მოითხოვს დაბალანსებულ, მულტიდისციპლინურ მიდგომას, სადაც ჯანდაცვის



სოციოლოგიური პერსპექტივა უნიკალურ ჩარჩოს ქმნის ინდივიდუალური თავისუფლების, პროფესიული ეთიკისა და კოლექტიური ღირებულებების გადაკვეთის შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: ექიმის ასისტენციით სუიციდი, ჯანდაცვის სოციოლოგია, ბიოეთიკა, პაციენტის ავტონომია, სიცოცხლის დასრულება.

რეკომენდირებული ციტირება: პაპაშვილი ს. (2026). ექიმის ასისტენციით სუიციდი ჯანდაცვის სოციოლოგიაში: სოციო-ეთიკური, სამართლებრივი და რელიგიური ასპექტების კომპლექსური ანალიზი. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 10 (1). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.15>

Abstract

Introduction: The issue of end-of-life decisions remains one of the most contentious and polarized topics in modern healthcare systems. Physician-assisted suicide (PAS) extends beyond purely clinical boundaries, encompassing complex ethical, legal, professional, and socio-cultural dimensions, which positions it as a critical object of study within medical sociology. This article aims to provide a comprehensive analysis of the multifaceted phenomenon of PAS, drawing upon various academic sources and global empirical data. **Methods:** The study employs a qualitative research design, specifically a critical secondary data analysis and a thematic literature review (desk research) utilizing international scientific databases such as PubMed, Scopus, and Google Scholar. **Results:** The analysis reveals a stark ideological dichotomy between proponents of patient autonomy and "death with dignity" and defenders of the absolute sanctity of life. Furthermore, the study highlights that religious-metaphysical worldviews (particularly within Christian, Islamic, and Jewish traditions) and the degree of societal secularization remain powerful determinants in shaping both public and professional medical attitudes toward this practice. **Conclusions:** The legal and social regulation of the right to end-of-life requires a balanced, multidisciplinary approach, wherein medical sociology offers a unique framework for examining the intricate intersections of individual freedom, professional medical ethos, and collective societal values.

Keywords: Physician-assisted suicide, medical sociology, bioethics, patient autonomy, end-of-life care.

Recommended Citation: Papashvili S. (2026). Physician-Assisted Suicide in Medical Sociology: A Complex Analysis of Socio-Ethical, Legal, and Religious Perspectives. *Health Policy, Economics and Sociology*, 10(1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.15>

შესავალი

თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში სიცოცხლის დასრულების საკითხი ერთ-ერთ ყველაზე დებატირებად და კომპლექსურ თემად რჩება. განსაკუთრებულ დისკუსიას იწვევს ექიმის ასისტენციით სუიციდი, რომელიც მძიმე ფიზიკური თუ მენტალური ტკივილის ქვეშ მყოფ პაციენტს სიცოცხლის დასრულებაში ეხმარება. აღნიშნული საკითხი სცდება მხოლოდ სამედიცინო გადაწყვეტილების ჩარჩოებს; იგი მოიცავს ფუნდამენტურ ეთიკურ, სამართლებრივ, პროფესიულ და სოციალურ განზომილებებს, რაც მას ჯანდაცვის სოციოლოგიის კვლევის აქტუალურ ობიექტად აქცევს (Pescosolido et al., 2021).

ჯანდაცვის სოციოლოგია განიხილავს არა მხოლოდ დაავადებებსა და მკურნალობას, არამედ იმ სოციალურ ურთიერთობებსა და ძალაუფლებრივ სტრუქტურებს, რომლებიც განსაზღვრავენ ექიმისა და პაციენტის როლებს, პასუხისმგებლობებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს (Cockerham, 2021). ამ კონტექსტში ექიმის მიერ დახმარებული სუიციდი წარმოშობს მნიშვნელოვან კითხვებს: რამდენად რეალიზდება პაციენტის ავტონომია, როგორ იცვლება ექიმის პროფესიული ეთოსი (Sulmasy et al., 2018) და რა გავლენას ახდენს სოციალური,

კულტურული და სამართლებრივი გარემო ამ პრაქტიკის ლეგიტიმაციაზე ან აკრძალვაზე (Bilsen, 2016).

მოცემული სტატიის მიზანია ექიმის მიერ დახმარებული სუიციდის საკითხის მრავალმხრივი მიმოხილვა და ანალიზი სხვადასხვა აკადემიურ წყაროზე დაყრდნობით. ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნულ ფენომენთან დაკავშირებული ბიოეთიკური განმარტებები, ძირითადი დებატები, აგრეთვე სამედიცინო პერსონალისა და საზოგადოების დამოკიდებულებები. ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის გზით, სტატია მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სამედიცინო-სოციოლოგიური და ეთიკური ასპექტების გადაკვეთის წერტილები და ის წინააღმდეგობები, რომლებიც თან ახლავს სიცოცხლის დასრულების უფლების სამართლებრივ და სოციალურ რეგულაციას.

მეთოდი

წინამდებარე ნაშრომში დასახული მიზნების მისაღწევად, კერძოდ, ექიმის ასისტენციით სუიციდის (PAS) სოციო-ეთიკური, სამართლებრივი და რელიგიური ასპექტების კომპლექსური შესწავლისთვის, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის დიზაინი, კერძოდ, მეორადი მონაცემების კრიტიკული ანალიზი და ლიტერატურის თემატური მიმოხილვა. აღნიშნული მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, სხვადასხვა იურისდიქციაში არსებული ემპირიული მონაცემები, საკანონმდებლო ჩარჩოები და თეოლოგიური ნარატივები ერთიან თეორიულ სისტემაში იქნას გაანალიზებული.

მონაცემთა მოპოვების სტრატეგია და საინფორმაციო ბაზები

აკადემიური ლიტერატურისა და ემპირიული მასალის მოძიება განხორციელდა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში: PubMed/MEDLINE, Scopus, Google Scholar და Cochrane Library. მასალების მოძიებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი საკვანძო სიტყვები (საძიებო კომბინაციები) როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე:

- “Physician-assisted suicide”, “Physician-assisted dying”, “Euthanasia and bioethics”;
- “Medical sociology and end-of-life care”, “Attitudes of physicians toward PAS”;
- “Religion and bioethics”, “Secularization and legal aspect of PAS”.

აკადემიურ პუბლიკაციებთან ერთად, საზოგადოებრივი აზრის ტენდენციების დინამიკის დასადგენად გამოყენებულ იქნა გლობალური კვლევითი ორგანიზაციების ვერიფიცირებული ანგარიშები და მეორადი სტატისტიკური მონაცემები (მაგ. Gallup, Pew Research Center).

მასალის შერჩევის (ინკლუზიის) კრიტერიუმები

საკვლევი მასალის ფილტრაციისა და საბოლოო შერჩევის პროცესში გამოყენებულ იქნა მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმები. კვლევაში ჩასართავად შეირჩა ისეთი წყაროები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

პუბლიკაციის ტიპი: რეცენზირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, წამყვანი საერთაშორისო ბიოეთიკური კომიტეტების ოფიციალური პოზიციები და საკანონმდებლო აქტები;

ფოკუსი: ნაშრომები, რომლებიც ექიმის ასისტენციით სუიციდს განიხილავდნენ ჯანდაცვის სოციოლოგიის, ეთიკის, სამართლის ან რელიგიური დისკურსის ჩრჩილში;

ვალიდურობა: კვლევები, რომელთა მეთოდოლოგია და ემპირიული მონაცემები (მაგ. შერჩევის მოცულობა ექიმებისა და საზოგადოების გამოკითხვისას) იყო სანდო და რეპრეზენტატიული.

კვლევის გარეთ დარჩა არაკადემიური ბლოგ-პოსტები, მოკლე საინფორმაციო ნიუსები და ისეთი ნაშრომები, რომლებიც სიცოცხლის დასრულებას განიხილავდნენ ექსკლუზიურად წმინდად კლინიკურ-მედიკამენტოზურ ჩრჩილში, სოციალური კომპონენტის გარეშე.

მონაცემთა ანალიზის მეთოდი

მოპოვებული თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება განხორციელდა თემატური ანალიზის (Thematic Analysis) მეთოდით. პროცესი მოიცავდა ლიტერატურის პირველად კოდირებას, კატეგორიზაციასა და ძირითადი თემების იდენტიფიცირებას.

კვლევის შედეგები და თემატური ანალიზი

სოციო-ეთიკური კონტექსტი და სტრუქტურული უთანასწორობა

ჯანდაცვის სოციოლოგიაში ექიმის ასისტენციით სიკვდილის (Physician-Assisted Dying) ფენომენი ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და პოლარიზებულ სადისკუსიო თემას წარმოადგენს. ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ინდივიდუალური უფლებების, კოლექტიური სოციალური ღირებულებებისა და სტრუქტურული ეკონომიკური უთანასწორობების ურთიერთქმედებას. სამედიცინო დახმარებით სიცოცხლის შეწყვეტის ლეგალიზაციის ირგვლივ მიმდინარე დებატები ხშირად მიმართულია საზოგადოებრივი უთანასწორობის იდენტიფიცირებაზე; კერძოდ, ანალიზდება ის, თუ როგორ მოქმედებს ხარისხიან სამედიცინო სერვისებსა და პალიატიურ მზრუნველობაზე ხელმისაწვდომობა ინდივიდის სიცოცხლის ხარისხსა და მის საბოლოო გადაწყვეტილებაზე (Fontalis et al., 2018).

ბიოეთიკურ ჭრილში, მომხრეების უმთავრესი აქცენტი გადატანილია პაციენტის ავტონომიის პრინციპსა და „ღირსეული სიკვდილის“ (Death with Dignity) კონცეფციაზე, რაც სუიციდის ამ ფორმას რაციონალურ, ჰუმანურ გამოსავლად განიხილავს (Fontalis et al., 2018). საპირისპიროდ, კრიტიკოსები ეყრდნობიან სიცოცხლის სიწმინდის (Sanctity of Life) აბსოლუტურ პრინციპს და ხაზს უსვამენ ექიმის ფუნდამენტურ ტრადიციულ მოვალეობას, ზიანი არ მიაყენოს პაციენტს. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, თანამედროვე სოციო-ეთიკურ ნარატივებში სულ უფრო მეტად მკვიდრდება პროგრესული მიდგომები, რომლებიც ცდილობენ დააბალანსონ კლინიკური პასუხისმგებლობა და პაციენტის პირადი თავისუფლება.

გლობალური სამართლებრივი ლანდშაფტი და გეოგრაფიული დივერგენცია

სამართლებრივი თვალსაზრისით, ექიმის ასისტენციით სუიციდის უფლებრივი რეგულაციები მკვეთრად განსხვავდება გეოგრაფიული და პოლიტიკური იურისდიქციების მიხედვით. გლობალური მასშტაბით, ეს პრაქტიკა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია ლეგალიზებული. ამჟამად, ექიმის დახმარებით სუიციდი ნებადართულია აშშ-ის რამდენიმე შტატსა და კოლუმბიის ოლქში, ასევე შვეიცარიაში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, ლუქსემბურგსა და კანადაში (Lynn, 2018). აღნიშნულ იურისდიქციებში, პაციენტისთვის ლეტალური მედიკამენტების რეცეპტით გაცემის გამჭვირვალე პროცედურებთან ერთად, ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ბენილუქსის ქვეყნებსა და კანადაში) ნებადართულია აქტიური ევთანაზიაც, ანუ ექიმის მიერ კლინიკური საშუალებებით პაციენტის სიცოცხლის უშუალო და შეგნებული დასრულება (Lynn, 2018).

ამის საპირისპიროდ, მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოში ეს მეთოდი მკაცრად იკრძალება და სისხლის სამართლებრივად ისჯება, მათ შორის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი, ინდოეთი და ისრაელი (Dopelt et al., 2021). აღსანიშნავია ისრაელის სპეციფიკური მიდგომა: ქვეყანაში მოქმედი „მომაკვდავი პაციენტის კანონი“ (Dying Patient Act) მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ტერმინალურ სტადიაში მყოფ პაციენტს აქვს სრული უფლება უარი თქვას სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ხელოვნურ მკურნალობაზე (პასიური ფორმა), თუმცა აქტიური ასისტენციით სუიციდი მკაცრად აკრძალულია; კანონი მოითხოვს, რომ პაციენტებს მიეწოდოთ მაქსიმალური პალიატიური მზრუნველობა და გარანტირებული იყოს მათი ღირსების დაცვა სიცოცხლის უკანასკნელ ეტაპამდე (Dopelt et al., 2021).

სამედიცინო საზოგადოების დამოკიდებულებები და პროფესიული დილემები

სამედიცინო პერსონალის განწყობებსა და პოზიციებს ამ ფენომენის მიმართ არაერთი კომპლექსური ემპირიული კვლევა შეისწავლის. ისრაელში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ექიმთა უმრავლესობა (61%) აღიარებს ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებას, მართოს საკუთარი სიცოცხლე პირადი შეხედულებისამებრ, სიცოცხლის დასრულების სურვილის ჩათვლით. შესაბამისად, რესპონდენტი ექიმების 54% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ასისტენციით სუიციდის ლეგალიზება დასაშვებია, მაშინ როდესაც 29% რადიკალურად საპირისპირო აზრზეა და თვლის, რომ ექიმის უპირატესი მოვალეობა სიცოცხლის შენარჩუნებაა, პაციენტის ნებისმიერი კატეგორიული თხოვნის მიუხედავად (Dopelt et al., 2021). ეს მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ სამედიცინო საზოგადოებაში აზრთა სერიოზული დივერგენცია არსებობს. კლინიცისტების ინდივიდუალური პოზიციების ფორმირება კი მნიშვნელოვნად არის დეტერმინირებული მათი შინაგანი პროფესიული ღირებულებებით, რელიგიური მრწამსითა და კლინიკურ პრაქტიკაში დაგროვილი პირადი გამოცდილებით (Dopelt et al., 2021).

საზოგადოებრივი აზრის დინამიკა და გლობალური ტენდენციები

საყოველთაო სოციოლოგიური გამოკითხვები და სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, რომ ექიმის დახმარებით სუიციდის ლეგალიზაციის აქტუალობა წლების განმავლობაში მზარდია. მაგალითად, აშშ-ში 1996 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში ამ პრაქტიკის მხარდაჭერა მოსახლეობაში სტაბილურად, საშუალოდ 58%-ს შეადგენდა, თუმცა 2014 წლის შემდეგ შეინიშნება მკვეთრი ზრდა, რამაც ბოლო მონაცემებით 66%-დან 71%-მდე მიაღწია (Gallup, 2024). ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება ევროპულ სივრცეშიც: ბრიტანეთში ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 75% მხარს უჭერს ასისტენციით სუიციდის საკანონმდებლო დონეზე დაშვებას (2025). კიდევ უფრო მაღალია სამოქალაქო კონსენსუსი შვეიცარიაში, სადაც გამოკითხულთა 81% სრულად ემხრობა სიცოცხლის ნებაყოფლობითი შეწყვეტის არსებულ ლიბერალურ მოდელს (Blanc et al., 2025). ეს მაჩვენებლები მიუთითებს იმაზე, რომ დასავლურ, სეკულარიზებულ საზოგადოებებში ამ საკამათო ფენომენის მიმართ მიმდებლობა თანდათანობით იზრდება.

პოლარიზებული არგუმენტაცია: მომხრეები და ოპონენტები

ამ პრაქტიკის ლეგიტიმაციის მომხრეთა ძირითადი არგუმენტები პაციენტის აბსოლუტურ ავტონომიასა და გაუტანელი ფიზიკური თუ მენტალური ტანჯვის ელიმინაციას ეფუძნება. მათი მტკიცებით, როდესაც პაციენტი გაცნობიერებულად და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, საზოგადოება და მედიცინა ვალდებულია პატივი სცეს მის ნებას, რადგან ქმედების უპირატესი მიზანი ჰუმანურია, მტანჯველი პროცესის დროული დასრულება და პიროვნული ღირსების შენარჩუნება (Fontalis et al., 2018). სამართლებრივ ჭრილში ადვოკატები იცავენ ადამიანის უფლებას საკუთარ სხეულზე და თვითგამორკვევის თავისუფლებას სამედიცინო ჩარევების კონტექსტში (Fontalis et al., 2018). დამატებით, სოციოლოგიური თვალსაზრისით აღინიშნება, რომ მკაცრად რეგულირებული დახმარებული სუიციდი უზრუნველყოფს პროცესის უსაფრთხოებასა და ტრანსპარენტულობას, რაც გამორიცხავს ე.წ. „სუიციდის ტურიზმის“ (Suicide Tourism) ფენომენს, როდესაც პაციენტები იძულებულნი ხდებიან არალეგალურად ან სხვა ქვეყნებში (მაგ. შვეიცარიაში) გაემგზავრონ სიცოცხლის დასასრულებლად (Fontalis et al., 2018).

მეორე მხრივ, ოპონენტები ყურადღებას ამახვილებენ ღრმა მორალურ, ეთიკურ და იურიდიულ დილემაზე. მათთვის უზენაეს ღირებულებას სიცოცხლის ხელშეუხებლობა წარმოადგენს, ხოლო ასისტენციით სიკვდილი აღიქმება ექიმის ფუნდამენტური მისიის დეფორმაციად. კრიტიკოსები შიშობენ, რომ ლეგალიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ე.წ. „დაცურების ეფექტი“ (Slippery Slope), იურიდიული გადაცდომები და სოციალურად დაუცველი, მარგინალიზებული ან მოწყვლადი ჯგუფების (მაგ. ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) ფარული ექსპლუატაციის ან მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლის რისკი (Fontalis et al., 2018). ამასთან, ბევრი კლინიცისტი უარს აცხადებს ამ პროცესში აქტიურ

ჩართულობაზე, რადგან მათ აქვთ საფუძვლიანი შიში ექიმის ინსტიტუციური „სიტყვის უფლებამოსილებისა“ და ძალაუფლების გადაჭარბებული ინტერპრეტაციისა (Dopelt et al., 2021).

რელიგიური ფაქტორი და კონფესიური ნარატივები

ექიმის ასისტენციით სუიციდის მიმართ დამოკიდებულებების კვლევაში რელიგია და მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა ერთ-ერთ ყველაზე მყარ დეტერმინანტად გვევლინება. ემპირიული კვლევები ადასტურებს, რომ ინდივიდები, რომლებსაც სწამთ სიკვდილის შემდგომი ცხოვრებისა და ესქატოლოგიური სასჯელის (მაგ. ჯოჯოხეთის კონცეფციის), რადიკალურად ნეგატიურად არიან განწყობილნი სიცოცხლის ხელოვნური შეწყვეტის მიმართ. ისინი სიცოცხლეს განიხილავენ როგორც ტრანსცენდენტულ, ხელშეუხებელ მოცემულობას და რელიგიური იმპერატივების გამო სრულად გამორიცხავენ მასზე ადამიანურ თვითნებობას (Sharp, 2018). სოციოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ რელიგიური რწმენის ინტენსივობა და კონკრეტული კონფესიური იდენტობა განსაზღვრავს როგორც ფართო საზოგადოების, ისე ჯანდაცვის პროფესიონალების პოზიციას; სეკულარულ სოციუმებში მხარდაჭერის მაჩვენებელი მაღალია, ხოლო ტრადიციულ და კონსერვატიულ გარემოში ეს პრაქტიკა ტაბუირებულია (Inglehart et al., 2021).

ქრისტიანობა: ქრისტიანულ ტრადიციებში დამოკიდებულება უმეტესწილად მკაცრად ნეგატიურია. განსაკუთრებული დოგმატური სიმკაცრით გამოირჩევა კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური პოზიცია, რომელიც სიცოცხლეს ღვთისგან ბოძებულ წმინდა ნიჭად მიიჩნევს და ნებისმიერ განზრახ ჩარევას მორალურ დანაშაულად აფასებს (Grove et al., 2022). მართლმადიდებლური და კონსერვატიული პროტესტანტული (ევანგელური) მიმდინარეობებიც ანალოგიურ პოზიციას იზიარებენ, თუმცა ლიბერალურ პროტესტანტულ დენომინაციებში შეინიშნება შედარებითი ტოლერანტობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ თეოლოგიური დოქტრინა და მისი ინდივიდუალური ინტერპრეტაცია მოდერნიზაციის პირობებში შესაძლოა ვარიირებდეს (Pew Research Center, 2013).

ისლამი: ისლამური ბიოეთიკა აბსოლუტურ დათქმას აკეთებს და კრძალავს როგორც ჩვეულებრივ სუიციდს, ისე ექიმის ასისტენციას. ისლამში სიცოცხლე განიხილება როგორც უზენაესი ნდობის მანდატი (ამანატი), რომლის განკარგვის უფლებაც ადამიანს არ გააჩნია; შესაბამისად, მისი ნებაყოფლობითი დასრულება უმძიმეს ცოდვად ითვლება (Madadin et al., 2020). ამ ფაქტორის გამო, მუსლიმურ საზოგადოებებში, ისევე როგორც ამ კულტურის მქონე ჯანდაცვის სპეციალისტებში, ლეგალიზაციის იდეას პრაქტიკულად არ გააჩნია მხარდაჭერა.

იუდაიზმი: იუდაურ მსოფლმხედველობაში სიცოცხლის შენარჩუნება (პიკუახ ნეფემ) ცენტრალური რელიგიური ვალდებულებაა. ტრადიციული და ორთოდოქსული იუდაიზმი კატეგორიულად გმობს ასისტენციით სიკვდილს, თუმცა რეფორმისტულ და სეკულარულ ებრაულ ჯგუფებში მიდგომები გაცილებით უფრო ლიბერალური და პლურალისტურია (Moreman & Chatterjee, 2025).

ეს შიდაკონფესიური დივერგენცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რელიგიური ტრადიციებისა და თანამედროვე ბიოსამედიცინო რეალობის გადაკვეთაზე არსებულ რთულ, მრავალმრიან სოციოკულტურულ დინამიკას.

დასკვნა

ექიმის ასისტენციით სუიციდი თანამედროვე ჯანდაცვის სისტემისა და ბიოეთიკის ერთ-ერთ ყველაზე რთულ, მრავალგანზომილებიან და ეგზისტენციალურ ფენომენს წარმოადგენს. წინამდებარე სტატიაში განხილული ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა ცხადყოფს, რომ აღნიშნული პრაქტიკა ვერ განიხილება ვიწრო კლინიკურ ან მხოლოდ ინდივიდუალური არჩევანის ჭრილში; იგი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ფუნდამენტურ სოციალურ ღირებულებებთან, ინსტიტუციურ და პროფესიულ ნორმებთან, იურიდიულ ჩარჩოებსა და სოციოკულტურულ კონტექსტებთან. სწორედ ეს მულტიფაქტორული ბუნება აქცევს

სიცოცხლის დასრულების გადაწყვეტილებებს ჯანდაცვის სოციოლოგიის ძალზედ აქტუალურ და მზარდ კვლევის ობიექტად.

ჩატარებულმა ანალიზმა წარმოაჩინა მკაფიო იდეოლოგიური დიქოტომია: პრაქტიკის ლეგიტიმაციის მომხრეთა არგუმენტები უმთავრესად ეფუძნება პაციენტის აბსოლუტური ავტონომიის, „ღირსეული სიკვდილისა“ და ფიზიკური თუ მენტალური ტანჯვის ელიმინაციის ჰუმანისტურ იმპერატივებს. საპირისპიროდ, ოპონენტთა კრიტიკული პოზიციები აქცენტირებულია სიცოცხლის სიწმინდის ფუნდამენტურ პრინციპზე, ჰიპოკრატესეულ პროფესიულ პასუხისმგებლობასა და ე.ც. „დაცურების ეფექტის“ (Slippery slope) რისკებზე, რაც საზოგადოების მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების შესაძლო არაპირდაპირ ექსპლუატაციაში გამოიხატება. ამ ანტაგონისტურ პოზიციებს შორის არსებული დამაბულობა ასახავს უფრო ფართო, გლობალურ სოციალურ დებატებს იმის შესახებ, თუ როგორ განისაზღვრება და ფასდება ადამიანის სიცოცხლისა და თავისუფლების საზღვრები პოსტმოდერნულ საზოგადოებაში.

ნაშრომში ანალიზირებული ემპირიული კვლევები ადასტურებს, რომ რელიგიურ-მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა რჩება ერთ-ერთ უმძლავრეს დეტერმინანტად ექიმის ასისტენციით სუიციდის მიმართ საზოგადოებრივი თუ პროფესიული დამოკიდებულებების ფორმირებაში. აბრაამისტულ რელიგიურ ტრადიციებში, ქრისტიანობაში, ისლამსა და იუდაიზმში, სიცოცხლე აღქმულია როგორც ღვთიური, ტრანსცენდენტული და ხელშეუხებელი ნიჭი, რაც სიცოცხლის ხელოვნურ შეწყვეტას და მის სამედიცინო მხარდაჭერას მორალურად მიუღებელს ხდის. თუმცა, საპირისპიროდ, სეკულარიზებულ საზოგადოებებში სულ უფრო მეტად დომინირებს ინდივიდუალურ უფლებებზე, ავტონომიასა და ჰუმანურ მიდგომებზე ორიენტირებული ნარატივები. ეს დივერგენცია ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ახდენს კულტურული და კონფესიური კუთვნილება გავლენას არა მხოლოდ პიროვნულ შეხედულებებზე, არამედ მაკრო-სოციალურ დონეზე, ჯანდაცვის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ინიციატივების ფორმირებაზე.

საბოლოო ჯამში, ექიმის ასისტენციით სუიციდის კომპლექსური ფენომენი არ ექვემდებარება ცალსახა, რადიკალურ გადაწყვეტას და მოითხოვს კრიტიკულ, ღრმად დაბალანსებულ და მულტიდისციპლინურ მიდგომას. ჯანდაცვის სოციოლოგიური პერსპექტივა უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა, დავინახოთ ის წერტილი, სადაც ინდივიდუალური თავისუფლების რეალიზება, სამედიცინო-პროფესიული ეთოსი და კოლექტიური სოციალური ღირებულებები ერთმანეთს ეჯახება. სიცოცხლის დასრულების უფლებრივი, სოციალური და ეთიკური ასპექტების კვლევა მომავალშიც დარჩება სამეცნიერო დისკურსის უმნიშვნელოვანეს და დინამიკურად განახლებად მიმართულებად.

გამოყენებული ლიტერატურა

Blanc, S., Meier, C., Gamondi, C. et al. (2025). Preparing for the end-of-life: Public attitudes towards advance directives and assisted suicide in Switzerland. *BMC Palliative Care*, 24(1). <https://doi.org/10.1186/s12904-025-01758-7>

Dopelt, K., Cohen, D., Amar-Krispel, E. et al. (2021). Facing death: Attitudes toward physician-assisted end of life among physicians working at a tertiary-care-Hospital in Israel. *International Journal of Environmental Research and Public Health*, 18(12), 6396. <https://doi.org/10.3390/ijerph18126396>

Fontalis, A., Prousalis, E., & Kulkarni, K. (2018). Euthanasia and assisted dying: What is the current position and what are the key arguments informing the debate? *Journal of the Royal Society of Medicine*, 111(11), 407-413. <https://doi.org/10.1177/0141076818803452>

Gallup. (2024). Most Americans favor legal euthanasia. *Gallup.com*. <https://news.gallup.com/poll/648215/americans-favor-legal-euthanasia.aspx#:~:text=are%20similar%20to%20what%20they,>

Grove, G., Lovell, M., & Best, M. (2022). Perspectives of major world religions regarding euthanasia and assisted suicide: A comparative analysis. *Journal of Religion and Health*, 61(6), 4758–4782. <https://doi.org/10.1007/s10943-022-01498-5>

Inglehart, R. F., Nash, R., Hassan II, Q. N., & Schwartzbaum, J. (2021). Attitudes toward euthanasia: A longitudinal analysis of cultural and religious factors. *Journal of Pain and Symptom Management*, 62(3), 559–569. <https://doi.org/10.1016/j.jpainsymman.2021.01.009>

Lynn, J. (2018). Conceptual, Legal, and Ethical Considerations in Physician-Assisted Death. *Physician-Assisted Death: Scanning the Landscape: Proceedings of a Workshop*, 178. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK525943/>

Madadin, M., Al Sahwan, H. S., Altarouti, K. K., et al. (2020). The Islamic perspective on physician-assisted suicide and euthanasia. *Medicine, Science and the Law*, 60(4), 278–286. <https://doi.org/10.1177/0025802420934241>

Moreman, C. M., & Chatterjee, A. (2025). Jewish attitudes toward end-of-life decisions and assisted dying. *American Journal of Hospice & Palliative Care*, 42(2), 197–206. <https://doi.org/10.1177/10499091241242817>

Pew Research Center. (2013). Opinion about laws on doctor-assisted suicide.


Public opinion on assisted dying. (2025, January 29). *Dignity in Dying*. <https://www.dignityindying.org.uk/assisted-dying/public-opinion-on-assisted-dying/#:~:text=,of%20Christians>

Sharp, S. (2018). Heaven, hell, and attitudes toward physician-assisted suicide. *Journal of Health Psychology*, 25(13-14), 2475–2486. <https://doi.org/10.1177/1359105318800831>



გულის გაჩერება მისი მოქმედების წარმატებული აღდგენით: პოსტრეანიმაციული მდგომარეობის მართვა

Cardiac Arrest with Successful Resuscitation and Post-Resuscitation Management

 <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.8>

თამარ გველუკაშვილი^{1a}, ეკა კიკილაშვილი^{1b}, სამსონ ქაჯაია^{1c}, რევაზ ჯორბენაძე^{1d}

Tamar Gvelukashvili^{1a}, Eka Kikilashvili^{1b}, Samson Kajaia^{1c}, Revaz Jorbenadze^{1d}

¹ გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, თბილისი, საქართველო

¹ G.Chapidze Emergency Cardiology Center, Tbilisi, Georgia

^a tamargvelukashvili1@gmail.com ^b samson.kajaia@gmail.com, ^c kikilashvilieka99@gmail.com

^d revaz.jorbenadze@ecc.ge

აბსტრაქტი

შესავალი: გულის სპონტანური გაჩერება გლობალური ჯანდაცვის კრიტიკული გამოწვევაა, რაც ხშირად გამოწვეულია სიცოცხლისთვის საშიში არითმიებით. მიუხედავად რეანიმაციული ტექნიკის გაუმჯობესებისა, პროგნოზი და ნევროლოგიური გამოსავალი კვლავ მძიმე რჩება, განსაკუთრებით ხანგრძლივი ასისტოლიის პირობებში. **შემთხვევის აღწერა:** სტატიაში განხილულია 68 წლის ქალბატონის კლინიკური შემთხვევა, რომელსაც ანამნეზში აღენიშნებოდა ტოტალური თირეოიდექტომია და თანმხლები ჰიპოპარათირეოზი. პაციენტს განუვითარდა გულის გაჩერება (35-წუთიანი რეანიმაცია). კლინიკური კვლევისას გამოვლინდა მძიმე ჰიპოთირეოზი (TSH - 43.04 mIU/ml), ჰიპოკალცემია და პერსისტენტულად გახანგრძლივებული QTc ინტერვალი. **შედეგები:** სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამორიცხვის შემდეგ, არითმოგენული რისკების მართვის მიზნით, იმპლანტირდა ერთკამერიანი კარდიოვერტერ-დეფიბრილატორი (VVI-ICD). პოსტოპერაციულ პერიოდში აგრეგატმა წარმატებით მოახდინა პარკუჭოვანი ტაქიკარდიის სამი ეპიზოდის კუპირება. პაციენტი გაეწერა სტაბილურ მდგომარეობაში, გაუმჯობესებული ნევროლოგიური სტატუსით. **დასკვნა:** ენდოკრინული დარღვევები, კერძოდ მძიმე ჰიპოთირეოზი და ჰიპოკალცემია, წარმოადგენს ფატალური არითმიების მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს. ICD-ის იმპლანტაცია მსგავს შემთხვევებში გადარჩენის მაღალ ალბათობას უზრუნველყოფს.

საკვანძო სიტყვები: უეცარი კარდიული სიკვდილი, სამედიცინო პროცედურებით გამოწვეული ჰიპოთირეოზი და ჰიპოპარათირეოზი, პარკუჭოვანი ტაქიკარდია.

რეკომენდირებული ციტირება: თამარ გველუკაშვილი, ეკა კიკილაშვილი, სამსონ ქაჯაია, რევაზ ჯორბენაძე. (2026). გულის გაჩერება მისი მოქმედების წარმატებული



აღდგენით: პოსტრენიმაციული მდგომარეობის მართვა. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 10 (1). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.8>.

Abstract

Introduction: Sudden cardiac arrest (SCA) remains a critical global health challenge, frequently precipitated by life-threatening arrhythmias. Despite advancements in cardiopulmonary resuscitation (CPR) techniques, the prognosis and neurological outcomes remain poor, particularly in cases of prolonged asystole. **Case Description:** This article presents a clinical case of a 68-year-old female with a medical history of total thyroidectomy and concomitant hypoparathyroidism. The patient experienced a sudden cardiac arrest requiring 35 minutes of resuscitation. Clinical evaluation revealed severe hypothyroidism (TSH - 43.04 mIU/ml), hypocalcemia, and a persistently prolonged QTc interval. **Shutterstock Explore Results:** Following the exclusion of vascular pathology, a single-chamber implantable cardioverter-defibrillator (VVI-ICD) was implanted to manage arrhythmogenic risks. In the postoperative period, the device successfully terminated three episodes of ventricular tachycardia. The patient was discharged in stable condition with significantly improved neurological status. **Conclusion:** Endocrine disorders, specifically severe hypothyroidism and hypocalcemia, are significant risk factors for fatal arrhythmias. ICD implantation in such cases ensures a high probability of survival and effective long-term management.

Keywords: Sudden cardiac death, medically induced hypothyroidism and hypoparathyroidism, ventricular tachycardia.

Recommended Citation: Tamar Gvelukashvili, Eka Kikilashvili, Samson Kajaia, Revaz Jorbenadze. (2026). Cardiac Arrest with Successful Resuscitation and Post-Resuscitation Management. *Health Policy, Economics and Sociology*, 10(1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.8>.

შესავალი

გულის სპონტანური გაჩერება არის მდგომარეობა, როდესაც გულის აქტივობა მოულოდნელად წყდება, რის შედეგადაც დგება გონების კარგვისა და სუნთქვის გაჩერების ეპიზოდი. დაახლოებით 17 მილიონი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად კარდიო-ვასკულარული დაავადებების გამო, რაც წარმოადგენს სიკვდილიანობის მიზეზების 30%-ს; ამ ადამიანებიდან დაახლოებით 40-50% იღუპება უეცრად განვითარებული სიცოცხლისთვის საშიში არითმიის გამო (Wong და სხვ. 2019).

გულის გაჩერება იწვევს გულის ფუნქციის შეწყვეტას, რაც თავის მხრივ სპონტანური ცირკულაციის შეწყვეტას ნიშნავს. ხანგრძლივი ინტერვალი ცირკულაციის გარეშე ზრდის სიკვდილის, გრძელვადიანი ან მუდმივი კომის, ვეგეტატიური მდგომარეობის, პოლიორგანული უკმარისობის, მათი შეუქცევადი დაზიანების რისკს (Arawwawala & Brett, 2007).

წლების განმავლობაში სპონტანური ცირკულაციის აღდგენის მაჩვენებლები გაუმჯობესდა, თუმცა პირველადი გულ-ფილტვის რენიმაციის შემდეგ პაციენტებზე ზრუნვის საუკეთესო გზა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად მოწოდებული. საავადმყოფოს გარე გულის უეცარი გაჩერების გადარჩენის მაჩვენებლები და ხანგრძლივი პროგნოზი საკმაოდ მძიმე რჩება, იმის მიუხედავად, რომ გადარჩენილი პაციენტები წარმოადგენენ პატარა ჯგუფს, მიეკუთვნებიან კრიტიკულად მძიმე პაციენტებს და საჭიროებენ დისპროპორციულად დიდ კლინიკურ და ფინანსურ რესურსს (Petrie და სხვ., 2015; Sawyer და სხვ., 2020).

სამედიცინო შემთხვევის მიმოხილვა

წარმოვადგენთ კლინიკური შემთხვევის განხილვას. 68 წლის ქალბატონი, რომელიც გადმოყვანილი იქნა ჩვენს ცენტრში მეზობელი ქვეყნის ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც იმყოფებოდა კვლევის ჩატარების მიზნით. კვლევის მიმდინარეობისას პაციენტს აღენიშნა გონების კარგვის ეპიზოდი, რაც აღმოჩენილი იქნა 9 წუთის შემდეგ და გულ-ფილტვის რენიმაციული ღონისძიებები გაგრძელდა 35 წუთის განმავლობაში. ეტიოლოგიური ფაქტორის მიუხედავად, ასეთი ხანგრძლივი გულ-ფილტვის რენიმაციული ღონისძიებების შემდგომ პაციენტის ზოგადი მდგომარეობა ფასდება კრიტიკულად. პაციენტები იმყოფებიან მულტიორგანული, შეუქცევადი, უკმარისობის განვითარების მაღალი რისკის ქვეშ.

ანამნეზური მონაცემების მიხედვით პაციენტს 26 წლის წინ ჩატარებული ჰქონდა ფარისებრი ჯირკვლის ტოტალური რეზექცია, პარათირეოიდულ ჯირკვლებთან ერთად ტოქსიური ჩიყვის გამო. ჰქონდა პოსტოპერაციული ჰიპოპარათირეოზი, მუდმივად იმყოფებოდა ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ და საჭიროებდა ჰორმონოჩანაცვლებით თერაპიას და დიაგნოსტიკური ჰიპოკალცემიის კორექცია. თუმცა, სხვა ელექტროლიტური დისბალანსის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. კლინიკაში მოთავსებისას ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების შემდგომ აღმოჩნდა რომ პაციენტს ჰქონდა განსაკუთრებულად მაღალი TSH – 43,04 mIU/ml, FT4 - 0.89 ng/dl.

სისხლძარღვოვანი გენეზის არითმოგენული ეფექტის გამორიცხვის მიზნით პაციენტს ჩაუტარდა კორონარული ანგიოგრაფია, სადაც ჰემოდინამიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოვლენილა. მიუხედავად იმისა, რომ სტაციონარიზაციის არც ერთ ეტაპზე პაციენტთან არ დაფიქსირებული სიცოცხლისთვის საშიში არითმია, პერსისტენტულად გახანგრძლივებული QTc ინტერვალის, მუდმივი დისელექტროლიტემიითა და განსაკუთრებულად მომატებული თირეოტროპული ჰორმონის მაჩვენებლების გათვალისწინებით ჩაითვალა რომ საწყისად გონების კარგვის და შემდგომ გულის გაჩერების ეპიზოდი განპირობებული იყო სიცოცხლის საშიში არითმიით. რითმოლოგების მიერ იმპლანტირდა ერთკამერიანი კარდიოვერტერ-დეფიბრილატორი (VVI-ICD). აღნიშნული პროცედურა ჩატარდა გართულებების გარეშე. აგრეგატი პროგრამირდა და გააქტიურებული იქნა პარკუჭთა ფიბრილაციის ამოცნობისა და მკურნალობის ალგორითმი. სტაციონარიდან გაწერამდე აგრეგატმა დააფიქსირა პარკუჭოვანი ტაქიკარდიის 3 ეპიზოდი, გცს - 160/წთ. კუპირება მოხდა ინტრაკარდიალური დეფიბრილაციის გზით.

პაციენტი გაეწერა კლინიკიდან სტაბილურ მდგომარეობაში, აღდგენილი სასიცოცხლო ფუნქციებით, მკვეთრად გაუმჯობესებული ნევროლოგიური სტატუსით.

დისკუსია

ფარისებრი ჯირკვლის რეზექცია, პარათირეოიდულ ჯირკვლებთან ერთად, ზრდის ჰიპოთირეოზით და ჰიპოპარათირეოზით გამოწვეული კარდიოვასკულური გართულებების რისკს. ასეთი პაციენტები საჭიროებენ მუდმივ მონიტორინგს, ვინაიდან ჰიპოპარათირეოზით გამოწვეული დისელექტროლიტემია განაპირობებს უეცარი გულის გაჩერებას QT ინტერვალის გახანგრძლივებით ინიცირებული ტორსა დე პოინტესის ხარჯზე. მეორეს მხრივ, თავისთავად სამედიცინო პროცედურებით გამოწვეული ჰიპოთირეოდიზმით დაავადებული პაციენტები, ელექტროლიტური ბალანსის შენარჩუნების მიუხედავად, არიან სიცოცხლისთვის საშიში არითმიების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ (Bahn და სხვ., 2011; Lehmann და სხვ., 1988).

ა.შ.შ-ში ჩატარებული კვლევებით კარდიოვერტერ-დეფიბრილატორის იმპლანტაციის შემდგომ გადარჩენის მაჩვენებელი უახლოესი 5 წლის დაკვირვებით ძალიან მაღალია. 1 და 5 წლის ინტერვალთა თითქმის ორასიათასამდე პაციენტის გადარჩენის მაჩვენებელი პირველ წელს 92% ხოლო მეხუთე წელს 68 % იყო (Saxon და სხვ., 2010).

დასკვნა

მოცემული კლინიკური შემთხვევა ხაზს უსვამს მჭიდრო კავშირს ენდოკრინულ დისფუნქციასა და ელექტროფიზიოლოგიურ დარღვევებს შორის. შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე ძირითადი პუნქტი:

ენდოკრინული მონიტორინგის მნიშვნელობა: პაციენტები, რომელთაც ჩატარებული აქვთ ფარისებრი და პარათირეოიდული ჯირკვლების რეზექცია, იმყოფებიან ელექტროლიტური დისბალანსის (განსაკუთრებით ჰიპოკალცემიის) და \$QT\$ ინტერვალის გახანგრძლივების მუდმივი რისკის ქვეშ, რაც "Torsade de Pointes"-ის ტიპის არითმიის წინაპირობაა.

დიაგნოსტიკური მიდგომა: გულის გაჩერების ეტიოლოგიის ძიებისას, კორონარული პათოლოგიის გამორიცხვის პარალელურად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჰორმონალური სტატუსის და ელექტროლიტური ბალანსის დეტალური შეფასება.

ICD თერაპიის ეფექტურობა: კარდიოვერტერ-დეფიბრილატორის იმპლანტაცია წარმოადგენს სიცოცხლის გადარჩენის ეფექტურ მეთოდს იმ პაციენტებში, სადაც არითმოგენული სუბსტრატი მეორადია და განპირობებულია მეტაბოლური ან ჰორმონალური დარღვევებით. მოცემულ შემთხვევაში ICD-ის მიერ დაფიქსირებულმა და კუპირებულმა პარკუჭოვანმა ტაქიკარდიებმა დაადასტურა შერჩეული ტაქტიკის სისწორე.

პროგნოზი: ადეკვატური ჩანაცვლებითი თერაპიისა და მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიური ჩარევის კომბინაცია იძლევა საშუალებას, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს პაციენტის სიცოცხლის ხანგრძლივობა და ხარისხი ხანგრძლივი რეანიმაციული ღონისძიებების შემდეგაც კი.

გამოყენებული ლიტერატურა

Wong, C. X., Brown, A., Lau, D. H., Chugh, S. S., Albert, C. M., Kalman, J. M., & Sanders, P. (2019). Epidemiology of sudden cardiac death: global and regional perspectives. *Heart, Lung and Circulation*, 28(1), 6-14.

Arawwawala, D., & Brett, S. J. (2007). Clinical review: Beyond immediate survival from resuscitation—long-term outcome considerations after cardiac arrest. *Critical Care*, 11(6), 235.

Petrie, J., Easton, S., Naik, V., Lockie, C., Brett, S. J., & Stümpfle, R. (2015). Hospital costs of out-of-hospital cardiac arrest patients treated in intensive care; a single centre evaluation using the national tariff-based system. *BMJ open*, 5(4), e005797.

Sawyer, K. N., Camp-Rogers, T. R., Kotini-Shah, P., Del Rios, M., Gossip, M. R., Moitra, V. K., ... & American Heart Association Emergency Cardiovascular Care Committee; Council on Cardiovascular and Stroke Nursing; Council on Genomic and Precision Medicine; Council on Quality of Care and Outcomes Research; and Stroke Council. (2020). Sudden cardiac arrest survivorship: a scientific statement from the American Heart Association. *Circulation*, 141(12), e654-e685.

Bahn, R. S., Burch, H. B., Cooper, D. S., Garber, J. R., Greenlee, M. C., ... & Stan, M. N. (2011). Hyperthyroidism and other causes of thyrotoxicosis: management guidelines of the American Thyroid Association and American Association of Clinical Endocrinologists. *Thyroid*, 21(6), 593-646.

Lehmann MH, Hardy S, Archibald J, et al. Hypocalcemia-induced torsade de pointes. *Am J Cardiol*. 1988;62(10 Pt 1):792-793. doi:10.1016/0002-9149(88)90659-5 (6)

Saxon, L. A., Hayes, D. L., Gilliam, F. R., Heidenreich, P. A., Day, J., Seth, M., ... & Boehmer, J. P. (2010). Long-term outcome after ICD and CRT implantation and influence of remote device follow-up: the ALTITUDE survival study. *Circulation*, 122(23), 2359-2367.

ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია

Health Policy, Economics and Sociology

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის ვებ-გვერდზე:
<https://heconomic.cu.edu.ge>

ელ ფოსტა: tverulava@cu.edu.ge

The online version of the journal is available on the website: <https://heconomic.cu.edu.ge>

Email: tverulava@cu.edu.ge

რედაქციის მისამართი: პაატა სააკაძის ქ. 1, ქ.თბილისი 0102, საქართველო

Adress: Paata Saakadze St. 1, Tbilisi 0102, Georgia

PRINT ISSN 2449-2469

ONLINE ISSN 2346-7983